# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26(9.936)

1 - 8 აგვისტო 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ელიაობას!



# პანდემიამ ,,დედოფლისწყაროობას“ გადადო

**მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, საქართველომ პანდემიას თავი კარგად გაართვა. დღემდე მწვანე ზონად რჩება დედოფლისწყარო. ახალი კორონავირუსის გავრცელების ფონზე, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ შეჩერებულა. დასრულდა ქედების ზონის გაზიფიცირების პროექტი, საგანამანათლებლო დაწესებულებები შესაბამის სტანდარტს აკმაყოფილებს, თუმცა, დედოფლისწყაროელებისთვის კვლავ მთავარ პრობლემად რჩება წყლის მიწოდების საკითხი. ამ და სხვა საკითხებზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს ვესაუბრებით.**



### პანდემია და დედოფლისწყარო

პანდემიამ ლამის დედამიწა გააჩერა, მაგრამ ვერ გააჩერა საქართველო და დედოფლისწყარო. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ საქართველო მართლაც იქცა წარმატების სიმბოლოდ დაავადებასთან ბრძოლისა და მისი შეჩერების მექანიზმების შემუშავების კუთხით. ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდებოდა. ამჟამად მიმდინარეობს 14 ქუჩის ასფალტირების სამუშაოები. ესენი პატარა ქუჩებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მივდივართ იმ ეტაპამდე, ადამიანებს რომ მოუწყობელი ინფრასტრუქტურა აღარ აწუხებდეთ, რაც ჩვენი გუნდის უდავო დამსახურებაა.



საგზაო ინფრასრტუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საქალაქთაშორისო დამაკავშირებელ მაგისტრალებზე, არამედ პატარა სოფლებშიც. ჩვენი გუნდი იმაზეა ორიენტირებული, რომ სოფლად ცხოვრება მისაღები და შესაძლებელი გახდეს. ამ მიზნით კეთილმოეწყო გზები სოფლებში. სოფლებში: ზემო ქედსა და გამარჯვებაში შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები დასრულდა, რაზეც 1 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.უახლოეს მომავალში სამუშაოები დაიწყება სამრეკლოსა და ქვემო ქედში. სამრეკლოში 2 დიდი ქუჩა იყო კეთილმოუწყობელი და მათგან ერთის- ე.წ. „აბანოს უბნის“ რეაბილიტაცია იწყება, რომელიც რამდენიმე თვეში დასრულდება და მხოლოდ ერთი ქუჩაღა დარჩება არაკომფორტული. მასაც, როგორც მოსახლეობას დავპირდით, მომავალ წელს აუცილებლად მოვაასფალტებთ.

ქვემო ქედში მოასფალტდება საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზა და საკმაოდ მნიშვნელოვანი უბანი. ამ სამუშაოების პარალელურად, ზემო მაჩხაანსა და არბოშიკში მიმდინარეობს შიდა გზების კეთილმოწყობის სამუშაოები.

სამთაწყარო-ფიროსმანის დამაკავშირებელი 11-კილომეტრიანი გზის მონაკვეთი კრიტიკას ვერ უძლებდა. იწყება ამ მონაკვეთზე ასფალტირებული, ხარისხიანი გზის მშენებლობა. პროექტის ღირებულება 7 მილიონ ლარამდეა.

თუმცაღა, მხოლოდ გზებზე ასფალტის საფარის დაგებით არ შემოვიფარგლებით და მიმდინარეობს სხვა, მნიშვნელოვანი პროექტებიც.

### წყალმომარაგება- აქილევსის ქუსლი?!

გეთანხმებით, წყალმომარაგება მართლაც არის მუნიციპალიტეტისთვის სერიოზული პრობლემა, ხოლო ხელმძღვანელობისთვის- მთავარი თავის ტკივილი. დიახ, დედოფლისწყაროსთვის მთავარ გამოწვევად რჩება წყალმომარაგების საკითხი. მაგრამ ახალმა პროექტმა ყველა გაგვახარა. მით უფრო, როცა ხედავ, რომ ეს პროექტიც და პრობლემის მოგვარების გზაც რეალურია. ვერავინ შეგვედავება იმაში, რომ მდინარე იორს აქვს იმისი რესურსი, დედოფლისწყარო წყლით რომ დააკმაყოფილოს. დედოფლისწყაროელები ინფორმირებულები არიან უკვე, რომ პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა. შესაბამისი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, მუნიციპალიტეტის სამ ლოკაციაზე- ქალაქ დედოფლისწყაროში, სამრეკლოსა და ხორნაბუჯში წყალმომარაგების პრობლემა წარსულს ჩაბარდება.

რაც შეეხება ზემო მაჩხაანს. აქ სამი პრობლემაა, რომელთაგან ერთი, რეზერვუარის საკითხი უკვე მოგვარებულია- მუნიციპალიტეტმა შეაკეთა ის და გადასცა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას. წყალმომარაგების ქსელში სერიოზული პრობლემებია, თუმცა, არა გადაუჭრელი. ამ საკითხს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აგვარებს. მესამე კი გამრიცხველიანებაა. სოფლის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გამრიცხველიანების გარეშე აქ წარმოუდგენელია ყველას დაკმაყოფილება. აბონენტთათვის წყლის მრიცხველების დაყენებაც უახლოეს მომავალში იგეგმება, რაც იმის წინაპირობაა, რომ ზემო მაჩხაანელების იმ ნაწილს, ვისაც წყლის მიწოდების სერიოზული პრობლემა აქვს, ცოტა ხანში წყალს მიიღებს.

### საგანმანათლებლო ობიექტები

ჩვენს გუნდს არაერთხელ უთქვამს, რომ მომავალ თაობაზე ზრუნვა ჩვენი პრიორიტეტია. ორი წელია, საგანმანათლებლო დაწესებულებები სამართავად მუნიციპალიტეტებს გადაეცა. ამჟამად 8 სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ხორციელდება სველი წერტილების მოწყობა ყველგან- საჯარო სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებში. და თუ სადმე რაიმე ხარვეზი კიდევ არსებობს სანიტარული კუთხით, წლის ბოლომდე აუცილებლად აღმოიფხვრება. ახალმა კორონავირუსმა კარგად დაგვანახა, რაოდენ მნიშვნელოვანია ჰიგიენური პირობების დაცვა ყველგან, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საბათლოში სრულდება საბავშვო ბაღის მშენებლობა. მოგეხსენებათ, ეს ერთადერთი სოფელი იყო მუნიციპალიტეტში, სადაც საბავშვო ბაღი არ არსებობდა. საბავშვო ბაღის ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა ექნებათ ხორნაბუჯში მცხოვრებ ბავშვებსაც.

ზემო მაჩხაანშიც მიმდინარეობს საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა.

ჯანსაღი ცხოვრების დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, თითქმის ყველა სოფელში მოეწყო სპორტული მოედნები და გასართობი სივრცეები ბავშვებისათვის, რაც უდავოდ კარგი სიახლეა მოსახლეობისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სივრცეების მოწყობა სწორედ ჩვენი მოქალაქეების დაკვეთა იყო.

### გაზიფიცირების პროექტი

ქედების ზონის გაზიფიცირება მართლაც საუკუნის პროექტი იყო ამ სოფლებისთვის. ოცდამეერთე საუკუნეში მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირი ფუფუნებას წარმოადგენდა. ამ პროექტმა ბევრი ადამიანის ცხოვრება უკვე შეცვალა. მათ აღარ მოუწევთ ძველი, საბჭოთა პერიოდის, უკვე ყავლგასული, თხევადი აირის ბალონების დატუმბვაზე ზრუნვა. ზემო ქედში 600-მდე ოჯახმა შეიყვანა ბუნებრივი აირი სახლში, არხილოსკალოში-200-ზე მეტმა. უახლოეს მომავალში დაიწყება ქვემო ქედსა და ალაზნისპირა სოფლებში გამრიცხველიანებისა და ბუნებრივი აირით მოსახლეობის მომარაგების პროცესი.

სექტემბრის ბოლოსთვის გაზიფიცირდება კიდევ ორი სოფელი-ჭოეთი და თავწყარო.

### და ბოლოს...

მინდა, ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო ორი დღესასწაული- „ელიაობა“ და „დედოფლისწყაროობა“, საეკლესიო და საერო, რომელიც შესანიშნავად შეერწყა ერთმანეთს. პანდემიის პრევენციის მიზნით, წელს ეს გრანდიოზული ღონისძიება აღარ გაიმართება. საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენაც და დაჯილდოებაც გადაიწევს, ცოტა ხნით, მანამ, სანამ ახალი კორონავირუსის რისკი არ გადაივლის. მერე კი ყველანი ერთად ვიზეიმებთ დღესასწაულებსაც და ჩვენს საპატიო და წარმატებულ დედოფლისწყაროელებსაც ერთად მოვეფერებით!

გილოცავთ ყველას ელიაობის დღესასწაულს! დაე, ელიას კალთამ და მმისმა წმიდა ხალენმა დაიფაროს დედოფლისწყარო და სრულიად საქართველო!

**ესაუბრა**
ინგა შიოლაშვილი



# სალომე ზურაბიშვილი - „გიორგი რურუას არ შევიწყალებ, ჩემს გადაწყვეტილებაზე ვერავინ და ვერაფერი მოახდენს გავლენას“



საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ის “მთავარი არხის” ერთ -ერთ მეწილეს გიორგი რურუას არ შეიწყალებს. ამის შესახებ მან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. პრეზიდენტის თქმით, ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ არიან.

“მე ამ პიროვნებას არ შევიწყალებ. ჩემზე კიდევ უფრო კარგად ქართულმა საზოგადოებამ იცის ყველაფერი მის შესახებ, თუ რატომ არ მივიღებ ამ შეწყალების გადაწყვეტილებას. ასევე ისიც იცის, რომ ჩემს გადაწყვეტილებაზე ვერავინ და ვერაფერი ვერ მოახდენს გავლენას. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ყველამ დაიწყოს მზადება არჩევნებისთვის, რათა ამ არჩევნებით კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ ქვეყნის ურყევი გზა დემოკრატიისკენ. ეს არის ჩემი ამ ქვეყანაში მოღვაწეობის მთავარი მიზანი და ამ გზას არ გადავუხვევ”, -განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მანამდე კი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა განაცხადა, რომ რურუას შეწყალების საკითხი პრეზიდენტის პრეროგატივა იყო.

როგორც კელი დეგნანმა ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტმა წინა ჯერზე საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა.

“პრეზიდენტის პრეროგატივაა შეიწყალებს თუ არა გიორგი რურუას. პრეზიდენტმა გადადგა გაბედული ნაბიჯი წინა ჯერზე, რომელიც მიმართული იყო სიტუაციის დეპოლარიზაციისკენ საქართველოში. საბოლოოდ, პრეზიდენტზეა დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

რაც შეეხება 8 მარტის შეთანხმებას, ამ შეთანხმების თანახმად მხარეებმა დადეს პირობა, რომ არ იქნება ჩარევა სასამართლო სისტემაში. რა თქმა უნდა, ამ პირობას არ აქვს რაიმე კონკრეტული ვადა” , - განაცხადა კელი დეგნანმა.

ცნობისთვის, გიორგი რურუა თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 4-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

# გამარჯვების მოლოდინში მყიფე ერთიანობით

წინასაარჩევნო მარათონი დაწყებულია. სახელისუფლებო პარტიამ მაჟორიტაროზის კანდიდატები უკვე წარადგინა, რასაც ვერ ვიტყვით ოპოზიციურ სპექტრზე. მათ რიგებში ამ საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსი ვერ გამოინახა. ამ ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მათ ერთიანობაზეც.

ოპოზიციის გამარჯვების ფორმულა - “ოცნების” ხელისუფლების დამარცხება, ჯერჯერობით ისევ ძალიან რთულ და შორეულ პერსპექტივად რჩება. საზოგადოების მოლოდინი, მესამე ცენტრის შექმნა და ერთი ლიდერის გარშემო გაერთიანება, ამაო აღმოჩნდა. ხელისუფლების დამარცხების იდეით “გაერთიანებული ოპოზიცია”, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იშლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხმებს ერთმანეთს წაართმევენ, რაც ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. პოლიტოლოგ-ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ისევ “ქართული ოცნება” გაიმარჯვებს.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციის გაერთიანების მცდელობა საქართველოს მოსახლეობისთვის უცხო არ არის. თითქმის ყველა არჩევნების წინ ამის კონტურები ჩნდებოდა, მაგრამ არჩევნების მოახლოებასთან ერთად უკვალოდ ქრებოდა და პარტიების ძალაუფლების სურვილი დაპირისპირების საგნად არა ერთხელ ქცეულა. ამჯერად, პოლიტიკურ გაერთიანებაში “ძალა ერთობაშია” განხეთქილების ვაშლი “კანონი და სამართლის” ლიდერი თაკო ჩარკვიანი და “ახალი საქართველოს” ლიდერი გიორგი ვაშაძე გახდნენ, რომლებიც ერთიან კოალიციას გამოეყვნენ და დამოუკიდებლად აპირებენ ბრძოლას “ქართული ოცნების” ხელისუფლების დამარცხებისთვის.

„ევროპულ საქართველოში” მიაჩნიათ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთიან მაჟორიტარულ კანდიდატზე უნდა შეთანხმდნენ. “ნაციონალურ მოძრაობაში” კი პირიქით ფიქრობენ.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის რომან გოცირიძის თქმით, მაჟორიტარის მიერ წარმართულ კამპანიას დიდი მნიშვნელობა აქვს პროპორციული სიით გამარჯვებაში, რაც მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურში გამარჯვების საწინდარი იქნება.

“რეგიონებთან დაკავშირებით არაერთხელ გვითქვამს, რომ გამარჯვებისთვის აუცილებელია საკუთარი კანდიდატების დაყენება. ეს არის პრინციპი, რომელიც არ შეიცვლება. თუ იქნება ცალკეული გამონაკლისები, რაღაც მოსაზრებით და თუ დავინახავთ, რომ ეს საერთო გამარჯვებას შეუწყობს ხელს, ამაზე შეიძლება კონსულტაციების გამართვა, მაგრამ პრინციპი რომ არ შეიცვლება, ეს არაერთხელ გვქონდა გაცხადებული. თბილისთან დაკავშირებით გადავდგით უპრეცედენტო ნაბიჯი, ორი ოლქი - დიდუბე და საბურთალო დღემდე არის დაუკომპლექტებელი და ეს ძალიან გვიშლის ხელს საარჩევნო კამპანიაში. აბა ნახეთ, რა ხდება გლდანში, სამგორში, მიდის ინტენსიური საარჩევნო კამპანია, ვინაიდან გვყავს მაჟორიტარი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კამპანიის ამუშავებაში. ნუ გვავიწყდება, რომ მანდატების 80 პროცენტი ნაწილდება პროპორციული სიით. აქ გამარჯვება მეორე ტურში თითქმის ყველა მაჟორიტარული ოლქის მოგების საწინდარი იქნება.

მაჟორიტარული ოლქი კი არ არის გამარჯვების მთავარი ნაწილი, არამედ პროპირციული სია, როცა გაერთიანებული ოპოზიცია იღებს იმაზე მეტ ხმას, ვიდრე “ქართული ოცნება” და მისი სატელიტი თუ სატელიტები. მარცხდები პროპორციულ სიაში? - მოდის ახალი ხელისუფლება და მეორე ტურში ფაქტობრივად, როგორც არაერთხელ გვინახავს, რჩება გამარჯვება იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც იგებს პროპორციულ სიას. აი, ეს არის ჩვენი პრინციპი. ეს გზა მიგვიყვანს გამარჯვებამდე, დანარჩენი გზა არის უბრალოდ მანდატების განაწილებაში ვაჭრობა,”- განაცხადა გოცირიძემ.

ექსპერტების ნაწილის თქმით,”ივანიშვილმა ნულოვანი ბარიერით ოპოზიციას ხაფანგი დაუგო”. მათი აზრით, “დაქსაქსული ოპოზიცია ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. მით უფრო, რომ მათ არჩევნებამდე 3 თვით ადრე საარჩევნო გეგმა, სტრატეგია და ხედვაც არა აქვთ.

ხათუნა ლაგაზიძის თქმით, ასეთი ოპოზიციის დამარცხება ხელისუფლებას არ გაუჭირდება.

„ის, რომ ოპოზიციური ერთობა ვერ შედგებოდა, ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვსაუბრობდი როდესაც ოპოზიციონერი ლიდერები ერთ ხმაში ამტკიცებდნენ რომ მათი ერთიანობა მონოლითური და მყარი იყო. ძალიან ბევრ ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენს მხოლოდ ლიდერი, ამიტომ ისინი ძირითადად 15 ათასი ხმის მოგროვებაზე და პარლამენტში შესვლაზე ფიქრობენ. ნულოვანი ბარიერი არის მთავარი ფაქტორი, რომელმაც ოპოზიციის ასეთი დაშლა გამოიწვია.

სააკაშვილმა თვე ნახევრის წინ როდესაც ერთიან სიაზე ისაუბრა, ამოსავლად ჰქონდა ის რეალობა, რომ როდესაც ოპოზიცია ერთიანია, ახერხებს ხელისუფლების დამარცხებას, ამაში ლოგიკა არის. ასეთი დაქსაქსული ოპოზიცია ხმებს ართმევს ერთმანეთს და ნაკლები ენერგია რჩება “ოცნებასთან” საბრძოლველად. ეს კი ხელისუფლებას უფრო უმარტივებს საქმეს. არის მეორე მოდელი, რომელზეც შეეძლო ეფიქრა ოპოზიციას, თუ არ არის ერთიანი სია, შეიძლება ეფიქრათ ერთიან იდეაზე, მაგრამ არც ამაზე ფიქრობენ. კლასში ჩატოვებული მოსწავლესავით დაზეპირებული გვაქვს, რომ “ოცნება” უნდა წავიდეს, მაგრამ რატომ უნდა მოვიდეს ოპოზიცია, როგორ სახელმწიფოს გვთავაზობს, ამას არ გვეუბნებიან.

ამერიკის ელჩიც კი შეწუხებულია ოპოზიციის პასიურობით. ერთ-ერთი ინტერვიუში მან პირდაპირ მიმართა, რომ დროზე წამოდექით და წინა საარჩევნო კამპანია დაიწყეთო. ოპოციზიის პასიურობა და დაქსაქსულობა.... რისი იმედი აქვს ოპოზიციას არჩევნებზე, არ ვიცი. მათი გამარჯვების კონტურებიც კი არ ჩანს”, - ამბობს ლაგაზიძემ.

ანალოგიურად ფიქრობს ანალიტიკოსი ვახტაგ ძაბირაძეც, რომლის პროგნოზითაც, 2020 წლის არჩევნებს დიდი ალბათობით ისევ “ქართული ოცნება” მოიგებს.

„საერთოდ ოპოზიციას უნდა აერთიანებდეს ლიდერი ან იდეა და თუ ორივე ერთად არის, ხომ კარგია, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ოპოზიციას არც იდეა აქვს და არც გამაერთიანებელი ლიდერი ჰყავს წინა წლებისგან განსხვავებით.

ოპოზიციაში არ არის იმის განცდა, რომ ისინი შეძლებენ უმრავლესობის მიღებას. ფიქრობენ, მხოლოდ ხელისუფლების დამარცხებაზე და მანდატების რაოდენობაზე. ამიტომ ჩემი პროგნოზით, დიდი ალბათობით “ქართული ოცნება” გავა პირველ ადგილზე. შეიძლება არც დასჭირდეს კოალიციის გაკეთება, რაც იქნება ძალიან ცუდი და ეს ყველაფერი არის ოპოზიციის შეცდომების შედეგი”, - აცხადებს ძაბირაძე.

ერთადერთი საკითხი, რაშიც ოპოზიციური სპექტრი ერთიანია, ეს რურუას გათავისუფლების საკითხია. თუმცა, მათი მტკიცების მიუხედავად, რომ რურუა პოლიტიკური პატიმარია, სასამართლოსთვის ეს მყარი არგუმენტი არ გახლავთ. მათი „არც ცრემლების და არც არგუმენტების არ სჯერა“ მოსამართლეებს. სასამართლომ გიორგი რურუას 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სწორედ ამის გამოა, რომ ოპოზიცია სასამართლო სტრუქტურას მიკერძოებულობაში ადანაშაულებს და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ბრალდებას უყენებს.

20 ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის, გიორგი რურუასადმი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებს.

პარტიები ერთობლივ განცხადებაში აღნიშნავენ, რომ გიორგი რურუას გათავისუფლება და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების დაუშვებლობა, 8 მარტის შეთანხმების საკვანძო ნაწილია.

„გიორგი რურუას საქმე მხოლოდ ამ ადამიანის პერსონალურ ბედს არ ეხება, მიუხედავად იმისა რომ ნებისმიერი ერთი ადამიანის პოლიტიკური დაკვეთით დაპატიმრება უკვე სერიოზული პრობლემაა. ყალბი მტკიცებულებებით რურუას საპატიმროში დატოვება, წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ კლიმატს განსაზღვრავს. გიორგი რურუას გათავისუფლება ქვეყნისთვის რთული საარჩევნო კამპანიის ნაკლები რისკით გავლის შესაძლებლობას ქმნის. ასე ხედავს ამას როგორც საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, ასევე საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები.

სამართლიანი, პოლიტიკური მიკერძოებისგან თავისუფალი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის შექმნა საქართველოს უახლესი ისტორიის მთავარი გამოწვევაა. დემოკრატიული ოპოზიციის მიზანი, ივანიშვილის არჩევნებში მშვიდობიანად დამარცხების შემდეგ, სწორედ ასეთი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა იქნება,“- ნათქვამია განცხადებაში.

# ვიდეოთამაშები – საფრთხე ბავშვებისა და მოზარდებისთვის?

***გიგი თინეიჯერია, რომელიც ძალიან დიდ დროს ატარებს კომპიუტერთან. ვიდეო თამაშები მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მაშინ იქცა, როდესაც ჯერ კიდევ პატარა იყო. მისი დღის რეჟიმი მთლიანად დამოკიდებულია თამაშის ხანგრძლივობაზე, ხასიათსა თუ შინაარსზე. აქედან გამომდინარე, ცხოვრების წესიც მთლიანად ვიდეო თამაშებზე აქვს მორგებული. ჯანსაღი კვება არაჯანსაღით ისე შეეცვალა, რომ თვითონაც გვიან გაიაზრა. რეალური ურთიერთობები კი ონლაინ ნაცნობობამ შეცვალა.***

რას გვეუბნება ეს ერთი შეხედვით მარტივი მაგალითი? იმას, რომ მედალს ორი მხარე აქვს. თუ 21-ე საუკუნემ ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, საზოგადოების ინტერნეტიზაცია და უნიკალური ტექნიკური შესაძლებლობები მოიტანა, მან ამავდროულად გააჩინა ე.წ კიბერ სივრცე, ვიდეოთამაშები და, სამწუხაროდ, მასზე დამოკიდებულებაც. შესაბამისად, ჩნდება კითხვები: იწვევს თუ არა ვიდეო თამაშები ძალადობისკენ მიდრეკილებას და როგორ მოქმედებს ის ადამიანის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე?

მოკლედ რომ მიმოვიხილოთ ვიდეო თამაშების ისტორია, რამდენიმე ათეული წლით უკან უნდა დავბრუნდეთ. ვიდეო თამაშების ისტორიას საფუძველი 1950-იან წლებში ჩაეყარა, 70-80-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა და ამ წლებიდან მოყოლებული იქცა გართობის წამყვან დარგად და მასობრივი კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად. ისეთი თამაშები, რომელთა ტელევიზორზე მიერთება შესაძლებელი იყო, ფართოდ გავრცელდა სავაჭრო ცენტრებსა თუ სხვადასხვა დაწესებულებებში. 1980-იანებში ბაზარზე გამოჩნდა ადრეული პორტატული და ონლაინ თამაშები. სწორედ ამავე პერიოდში, 1983 წელს, ვიდეო თამაშების კრიზისიც დადგა. თუმცა,1990-იანებს ვიდეო თამაშების აღორძინების ხანას უწოდებენ. ამ პერიოდშივე საფუძველი ჩაეყარა მობილურ თამაშებს. 2000-იანებში დაიწყო ონლაინ გეიმინგისა და მობილური თამაშების განვითარება. ეს მონაკვეთი გამოირჩეოდა მაღალბიუჯეტიანი თამაშების შემუშავებით, კაზუალური PC (პერსონალური კომპიუტერი) თამაშების გამოჩენით, გამოთვლებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. PC თამაშებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს სათამაშო ბაზარზე და დღემდე განაგრძობენ ზრდას ციფრული დისტრიბუციის საშუალებით. სმარტფონების ფართო გამოყენებამ კი პოპულარული გახადა მობილური თამაშები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ თამაშთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობა სამეცნიერო ცნობარში მხოლოდ 2018 წელს შეიტანა. ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის მიხედვით, წელიწადში თქვენ უნდა გიფიქსირდებოდეთ 5 ან მეტი ნიშანი მაინც, რათა ჩათვალოთ რომ დამოკიდებული ხართ ვიდეო თამაშებზე. ეს ნიშნებია:

მთელ თქვენს დროს თამაშზე ფიქრში ატარებთ;

თავს ცუდად გრძნობთ, როდესაც თამაში არ შეგიძლიათ;

უფრო და უფრო მეტს თამაშობთ, რომ თავი კარგად იგრძნოთ;

არ შეგიძლიათ თამაშისთვის თავის დანებება ან მისთვის ნაკლები დროის დათმობა;

აღარ გინდათ იმ საქმეების გაკეთება, რაც მანამდე მოგწონდათ;

თამაშების გამო სამსახურში, სკოლაში ან სახლში პრობლემები გაქვთ;

ატყუებთ თქვენს ახლობლებს იმის შესახებ, თუ რამდენ დროს ხარჯავთ თამაშში;

იყენებთ თამაშს ცუდი განწყობისა და გრძნობების მოსაშორებლად;

რა თქმა უნდა, ყველას, ვინც ბევრს თამაშობს, არ აქვს პრობლემა თამაშთან დაკავშირებით. ერთი რამ, რაზეც მსოფლიო ჯანდაცვის მესვეურნი შეთანხმდნენ, არის ის, რომ მოთამაშეების პროცენტი, რომლებიც აკმაყოფილებენ ვიდეო თამაშებისადმი დამოკიდებულების კრიტერიუმებს, მცირეა. სავარაუდოდ, ეს არის დაახლოებით 1%- დან 9%-მდე ყველა მოთამაშე, ზრდასრული და ბავშვები ერთნაირად (ეს უფრო ხშირია ბიჭებსა და მამაკაცებში, ვიდრე გოგონები და ქალები).

სამეცნიერო წრეებში სულ ახლახანს საპირისპირო და მოულოდნელი კვლევა გამოჩნდა. „The Guardian“ -ის მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით 21 ათასზე მეტ ახალგაზრდაზე ჩატარებული კვლევების შედეგების საერთო ანალიზი მოწმობს, რომ ვიდეოთამაშები ძალადობის ან აგრესიისკენ მიდრეკილების გამომწვევი არაა. მკვლევრებმა, რომელთა ხელმძღვანელიც მესის უნივერსიტეტის თანამშრომელი, აარონ დრამონდია, მეტაანალიზის მეთოდის გამოყენებით, თავიდან შეისწავლეს სხვადასხვა წელში ჩატარებული 28 კვლევის შედეგები, რომელთა უმეტესობაც აგრესიულ ქცევასა და ვიდეოთამაშებს შორის არსებული კავშირის დადგენას ცდილობდა. კვლევების მიხედვით მომზადებულ ახალ ანგარიშში, რომელიც სამეცნიერო ჟურნალ Royal Society Open Science-ში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ერთიანად აღებული შედეგები ვიდეოთამაშების თამაშსა და აგრესიულ ქცევას შორის, მართალია, სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით კორელაციაზე მიუთითებს, თუმცა ეს კორელაცია იმდენად პატარაა, რომ **„მცირე ეფექტის“ გამომწვევადაც ვერ ჩაითვლება. „ამდენად, ამჟამინდელი კვლევის მიხედვით შეუძლებელია, მხარი დავუჭიროთ გავრცელებულ ჰიპოთეზას, თითქოს ძალადობის ამსახველ ვიდეოთამაშებს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გავლენა აქვს ახალგაზრდების აგრესიულ ქცევაზე“,** - ნათქვამია კვლევაში.

ერთ-ერთი გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ვიდეოთამაშების უარყოფითი გავლენა ისაა, რომ მცირე ზიანი დროთა განმავლობაში აკუმულირდება: თუკი მოთამაშე ყოველ შემდეგ თამაშს უფრო აგრესიულ განწყობაზე ამთავრებს, მაშინ, დიდი ხნის შემდეგ, ეს, შეიძლება, ხასიათის უფრო მნიშვნელოვან ცვლილებაში გადაიზარდოს. თუმცა მეტაანალიზის მიხედვით, ამ მოსაზრების დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. მეტიც - შედეგები საპირისპიროზეც კი მიუთითებს. კვლევები თანმიმდევრულად აჩვენებს, რომ **„ძალადობის ამსახველი ვიდეოთამაშების ზეგავლენა ახალგაზრდების აგრესიულ ქცევაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნულს უტოლდება“,** - ნათქვამია ანგარიშში. ამ ორ მოცემულობას შორის დადგენილი მცირე კავშირის მიუხედავად, სხვა კვლევები ვიდეო თამაშების ზოგად ემოციურ ქცევაზე ზეგავლენის არსებობაზე მიუთითებს. ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ის ადამიანები, ვინც ხშირად თამაშობენ ძალადობრივ ვიდეო თამაშებს, სხვა კონტექსტში მოქცეულ ძალადობის ამსახველ სცენებს უფრო გულგრილად უყურებენ. ამ ფენომენს კვლევის ავტორმა **„ემოციით გამოწვეული სიბრმავე“** უწოდა. გარდა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტორისა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ფიზიკური ჯანმრთელობაც, რომელიც არანაკლებ ზიანდება ვიდეო თამაშების ხშირი ან მუდმივი მოხმარების შემდეგ. თამაშთან დაკავშირებული ფიზიკური ტრავმებია: **თითების ფორმის ცვლილება და დაზიანება, მხედველობის დაზიანება, ართრიტი, ზურგისა და ხერხემლის ტკივილი.**

გაზეთი „შირაქი“ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და ფსიქოლოგის აზრითაც დაინტერესდა, რომლებიც ან ეუფლებიან ადამიანების ფსიქოლოგიას, ანდაც თვითონ ჰქონიათ შეხება მსგავს საკითხთან. ზოგიერთმა მათგანმა ანონიმურად დარჩენა არჩია, ზოგიერთი კი ღიად გაგვესაუბრა:

ბესო გიგოლაშვილი, ფსიქოლოგი: „ ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის თამაში, როგორც საზოგადოებრივი აქტივობის სრულიად განსაკუთრებული ფორმა, ხელს უწყობს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ დასახული მიზნის მიღწევის შედეგად საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას. თამაშის თავისებურებებიდან და პირობებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს როგორც ფინანსური თუ ეკონომიკური, ისე ფსიქოლოგიური ან სოციალური წინსვლის წინაპირობა. ადამიანთა უმრავლესობას ქვეცნობიერად თუ გაცნობიერებულად სურს თამაშების შედეგად მოახდინოს საკუთარი ძალების თვითრეალიზაცია და ამის შედეგად კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს საზოგადოებას საკუთარი გამორჩეულობა და უნივერსალურობა. ეს არის ადამიანის ინდივიდუალური მისწრაფების ერთ-ერთი უმთავრესი საზრისი. რა თქმა უნდა, ვიდეო თამაშები უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა უმრავლესობაზე, გაჟღენთავს ადამიანს აზარტით და თანდათანობით იმორჩილებს მის ცნობიერებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ადამიანის ტექნოლოგიური ზომბირების და მისი მანიპულირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება. ამიტომ, ვიდეო თამაშებით სარგებლობისას ძალზედ სასარგებლოა ნაკლები აზარტი და მეტი ზომიერება. უმრავლეს შემთხვევაში და ერთმნიშვნელოვნად, ნებისმიერი ძალადობრივი სიუჟეტის მქონე ვიდეოთამაში გარკვეულწილად ადამიანის ქცევის პროვოცირებას ახდენს. ამიტომ სასურველია, ვიდეო თამაში ნაკლებად უბიძგებდეს ადამიანს ძალადობისკენ.“

სალომე ალადაშვილი, თსუ ფიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, მე-4 კურსი: „ოცდამეერთე საუკუნე ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეა. ამ საუკუნის ბავშვებს და თინეიჯერებს ვერ წარმოუდგენიათ სამყარო მობილური ტელეფონების, ინტერნეტის, ჩატების და ვიდეო თამაშების გარეშე. აღსანიშნავია, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რა ჩანს ზედაპირულად, ბავშვებში მომატებული აგრესიის მიზეზად ძირითადად ვიდეო თამაშები სახელდება. როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა კავშირშია ბავშვებში აგრესიის მატება და ვიდეო თამაშები, სასურველია, ჯერ განვიხილოთ, თუ რამდენად წესების დაცვით ხდება მათი მოხმარება. უმეტეს შემთხვევაში მოზარდები თამაშობენ ისეთ ვიდეო თამაშებს, რომლებიც იწვევს სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემებს, რომლის პირველი ნიშანია აგრესიულობის ან ძალადობის გამოვლინება. თითოეული ვიდეო თამაში შეიცავს საშიშ სურათებს ან ინფორმაციას რაც იწვევს შიშს, ხოლო შიშის საფუძველზე ზოგ მოზარდს ეწყება შფოთვა და ღამის კოშმარები. აქედან გამომდინარე მოზარდის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად აისახება. ზოგი ბავშვი უფრო მეტად არის მიდრეკილი გაიმეოროს ის ქმედებები, რაც დაინახა თამაშში, ფილმში. ზოგი მათგანი ძნელად ანსხვავებს ერთმანეთისგან რეალობასა და ფანტაზიას. აქედან გამომდინარე გასართობი თამაშები უნდა იყოს ამყოლი და სახალისო, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში ძალადობისკენ მიდრეკილების აღმოფხვრას. ჩემი აზრით, კავშირი ყოველთვის იქნება ვიდეო თამაშებსა და ადამიანის ფსიქიკას შორის. ეს იმდენად ღრმა დამოკიდებულებაა, რომ მისი აღმოფხვრა დროთა განმავლობაში ასე ადვილად ვერ მოხდება. თითოეული ადამიანი რომელიც ჩართულია ამ თამაშებში, სრულად აქვს დაკარგული კონტროლი საკუთარ თავზე. ასე რომ იმის შანსი, რომ ოდესმე ნულს გაუტოლდება აგრესიულობის მაჩვენებელი ვიდეო თამაშების მოხმარების დროს, არასწორია.“

გიორგი, 25 წლის: „ბავშვობის შემდეგ აღარ მითამაშია. მივხვდი, რომ დროის ფუჭი კარგვა იყო. გარდა ამისა, ნერვებსაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის. როდესაც მოზარდი ხარ და საათობით ზიხარ ეკრანის წინ, ეს შენს ნერვებს აფუჭებს, როდესაც რაღაცას ვერ აკეთებ, ტურიდან ტურში ვერ გადადიხარ და ა.შ. ეს დამოკიდებულს გხდის ბევრ რამეზე. ამ საქმეს საათებს და დღეებს უთმობენ, როცა ამ დროს ბევრი კარგი რამის გაკეთება შეგიძლია პირადი განვითარებისთვის. გარდა ამისა, ცუდია, როდესაც მთელი შენი არსებით და გონებით რაღაცაზე ხარ დამოკიდებული. ერთი რამ რაც ამ ყველაფერს შეიძლება „დადებითი“ ჰქონდეს, და როგორც პროფესიონალმა ისე იფიქრო, ეს ფინანსური მხარეა. საკმაოდ დიდი კაპიტალი გროვდება ამ სფეროში, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეულ დონეს მიაღწევ. რა თქმა უნდა, თინეიჯერები გავლენისა და დამოკიდებულობის მხრივ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი მგონია, მაგრამ 20 წლის ზემოთ მყოფი ადამიანებიც ბევრნი არიან ჩართულნი, ბევრს გვიან უყალიბდება ფსიქიკა და ცხოვრებისეული მიდგომები. მაინც მგონია, რომ ვიდეო თამაშებს გარკვეული გავლენა ჩვენს ქმედებებზე აქვთ და ძნელია ამისგან გათავისუფლება, თუმცა აქვე დავამატებ, რომ არა შეუძლებელი. ყველაფერი შესაძლებელია“.

თამარი, 31 წლის: „ჩემი აზრით ვიდეო თამაშები ძალიან აზიანებს მოზარდების და არამარტო მათი, ზოგადად ადამიანის ფსიქიკას. მითამაშია და გამომიცდია იმ მსუბუქი თამაშების გავლენა, რომელიც ერთი შეხედვით ზიანს არ გაყენებს, მაგრამ მაინც ფიქრობ რაუნდიდან რაუნდში გადასვლაზე. ვფიქრობ, რომ ვიდეო თამაშებს არასწორი მომხმარებლები ჰყავს, მაგ: ონლაინ თამაში pubg, რომელსაც 8,9 და 10 წლის ბავშვები თამაშობენ. იმის მაგივრად რომ ბავშვმა წიგნი აიღოს და ის წაიკითხოს, ფიქრობენ, ვის როგორ გაეკიდონ, ვინ როგორ „მოკლან“ და ა.შ. ადამიანი ამ დროს ნევროზდება, იძაბება, მუდმივად გაღიზიანებულია და აგრესიას ავლენს გარშემო მყოფების მიმართაც. აქედან გამომდინარე, ეს ძალადობისკენ ბიძგს ავტომატურად აჩენს. რაღაცის მიღწევის მხოლოდ აგრესიული გზა ხდება ალტერნატივა. არ ვეთანხმები



იმ კვლევას, თითქოს ეს უმნიშვნელო გავლენა იყოს. სამწუხარო ისაა, რომ ყველა სეგმენტი თამაშობს. მაგრამ უმეტესწილად იმ სეგმენტზე ახდენს გავლენას, ვისი ფსიქიკაც ახლა ყალიბდება. იმ შემთხვევაში შეიძლება განულდეს ეს გავლენა, თუკი აქ სხვა გარემო ფაქტორები იმოქმედებენ ან მშობლები ჩაერევიან. შეიძლება რომ სპორტით დაკავდეს ადამიანი, სხვაგან სცადოს თავისი უნარების გამოვლენა. მე მყავს ახლობელი, რომელსაც ამ თამაშებმა ფსიქოლოგიურ პრობლემასთან ერთად, ფიზიკური პრობლემაც შეუმქნა (მხედველობა). ძალიან ბევრ კარგ რამეს აკლდება ადამიანი, როდესაც მთელს თავის თავისუფალ დროს მსგავს ვიდეო თამაშებს სწირავს.“

ნატო, მშობელი, 33 წლის: „ისეთ ეპოქაში უწევთ ჩვენ შვილებს ცხოვრება, რომ რაც არ უნდა ავუკრძალო ტელეფონი თუ კომპიუტერი, მაინც ექნებათ შემხებლობა. თუმცა, მე, როგორც მშობელი, არ მომწონს ბავშვის მიჯაჭვულობა ინტერნეტთან. პირადად ჩემს ორივე შვილს განსაზღვრულ დროს ვაძლევ ტელეფონთან ურთიერთობისთვის. ფსიქოლოგიურ გავლენას რაც შეეხება: ჩემი შვილები არ თამაშობენ ვიდეოთამაშებს, მაგრამ, ვფიქრობ, ნებისმიერმა თამაშმა ან ინტერნეტში გავრცელებულმა ვიდეომ შეიძლება იქონიოს გავლენა. მაგალითისთვის: ვუსმენთ საინფორმაციოს და აცხადებენ ბავშვები გაიპარნენ სახლიდანო. ჩემს ერთ-ერთ შვილს რაღაც „მოეწონა“ ეგ ამბავი და დილით ჩანთა ჩაიბარგა უნდა წავიდე მეც ჩუმათო. ვიდეო თამაშები, რომლებსაც თითქმის ყოველდღე თამაშობენ მოზარდები და მშობლების 90% -ზე მეტი ვერ (არ ) აკონტროლებს მათი მოხმარების თავისუფლებას, იქონიებს გავლენას აბა რას იზამს? სუსტი ფსიქიკის ადამიანზე ეს ნამდვილად იმოქმედებს. თუმცა, არ გამოვრიცხავ იმას, რომ შეიძლება ნებისმიერმა გარემო ფაქტორმა იქონიოს გავლენა. შეიძლება ბავშვს არ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან, მაგრამ ოჯახის მაგალითით გახდეს მოძალადე, ან ისეთ საზოგადოებაში მოხვდეს, რომელიც მოძალადედ აქცევს. შეიძლება იდეალურ ოჯახში იზრდებოდეს, მაგრამ ინტერნეტ თამაშების, ვიდეოების წყალობით დაუზიანდეს ფსიქიკა და გახდეს მოძალადე“.

ვიდეო თამაშების ინდუსტრია ძალიან სწრაფად ვითარდება, შესაბამისად, ჩნდება ახალი გამოწვევები, არა მხოლოდ კომპიუტერული თვალსაზრისით, არამედ ადამიანის ჯანმრთელობის კუთხითაც. შესაბამისად, ვერ ესწრება სათანადოდ დამოკიდებულების კვლევა და მასზე რეაგირების ეფექტურად განსაზღვრა. ერთი რამ რაც ცალსახად იკვეთება, არის კომპიუტერთან და ვიდეო თამაშებთან დაკავშირებული რისკები. ვიდეო თამაშებზე დამოკიდებულება დაკავშირებულია დაბალ ფიზიკურ აქტივობასთან, არაჯანსაღ კვებასთან, მხედველობისა და სმენის პრობლემებთან, კუნთოვანი ქსოვილის სიჯანსაღის დარღვევასთან, ძილის რეჟიმის დარღვევასთან, აგრესიულ ქცევასთან და დეპრესიასთან. რადიკალური მიდგომა გამოსავალი არ არის, რადგან ამით მშობელი თუ ნებისმიერი აქტორი პირი ორმაგად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. მთავარია დამოკიდებულების აღმოჩენისთანავე დაიწყოს ამ პრობლემის საფუძველშივე მოგვარება, რადგან ამ დამოკიდებულების მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე თვითონ ჩამოყალიბებული ქცევა.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# დეპრესიის გენდერული ხასიათი

***ის, თუ რა გარემოში ვიზრდებით და ვცხოვრობთ, მნიშვნელოვნად აისახება ჩვენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. დეპრესია დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფსიქიკური აშლილობაა. შესაფერისი მკურნალობის გარეშე მას შეუძლია ადამიანში გამოიწვიოს შფოთვა, გახადოს ის დამოკიდებული შეჩვევის გამომწვევ ნივთიერებებზე ან მიიყვანოს სუიციდამდე. დიდი დეპრესიული აშლილობა ამ მდგომარეობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ახასიათებს სიამოვნების განცდის უნარის დაკარგვა ჩვენთვის საყვარელი საქმიანობების შესრულებისას. იგი ასევე იწვევს უსარგებლობის გრძნობასა თუ ფიქრებს და ისეთ დარღვევებს, როგორიცაა ძილიანობა ან უძილობა. ეს სწორედ ის მდგომარეობაა, რომელსაც ამ სტატიაში განხილული კვლევისას აკვირდებოდნენ.*** **შედეგად გამოიკვეთა, რომ ღარიბ რეგიონებში კაცებს უფრო ხშირად უვითარდებათ დიდი დეპრესიული აშლილობა, ვიდრე – ქალებს.**

არსებობს ფაქტორები, რომლებიც ღრმა დეპრესიისადმი მიდრეკილების რისკს ზრდის. მაგალითად, ის ადამიანები მეტად არიან დეპრესიის განვითარების საფრთხის ქვეშ, რომლებსაც დაუსვეს კიბოს მსგავსი მძიმე ავადმყოფობის დიაგნოზი, რომლებიც იზრდებოდნენ ისეთ ოჯახში, სადაც მშობლები ხშირად ჩხუბობდნენ, გახდნენ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ან იტანჯებიან ქრონიკული დაავადებებისგან. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორები უფრო ინდივიდუალურია ან ისეთ კერძო გარემოებებს ეხება, რომლებსაც ცალკეული ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა. კვლევების უმეტესობაც სწორედ ამგვარ პირად ფაქტორებზე ფოკუსირდება. თუმცა, ჩვენს გონებრივ კეთილდღეობაზე ასევე მოქმედებს ზოგადი ფაქტორებიც. კერძოდ კი იმ სოციუმისთვის არსებული მახასიათებლები, რომელშიც ვცხოვრობთ.ზოგიერთი კვლევის თანახმად, დაბალშემოსავლიან დასახლებებად მიჩნეულ ადგილებში მცხოვრები ადამიანები, ხშირად თავიანთ ჯანმრთელობას აფასებენ როგორც არადამაკმაყოფილებელს. მსგავს საზოგადოებებში სიცოცხლის ზედა ზღვარიც შედარებით დაბალია. ახალი კვლევის მიზანი იყო, გაერკვია, ახდენს თუ არა ზეგავლენას დაბალშემოსავლიან სოციუმში ცხოვრება ქალებისა და კაცების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც. მკვლევრების მიზანი იყო, მსგავსი კორელაცია გამოკითხულთა განათლების ხარისხისა თუ სოციალური კლასის გათვალისწინებით გამოეკვეთათ. მეცნიერებმა გამოიყენეს ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი კვლევითი ქსელის, EPIC-Norfolk-ის მონაცემები, რომელიც ეხება ჯანმრთელობას, ქრონიკულ დაავადებებს და ცხოვრების წესს. შედეგად, კვლევა დაეყრდნო 20 ათასზე მეტი ადამიანის მიერ შევსებულ დეტალურ კითხვარებს, რომლებშიც გამოკითხულები საკუთარი ფსიქიკური თუ ზოგადი ჯანმრთელობის სამედიცინო ისტორიის შესახებ კითხვებს სცემდნენ პასუხებს. გამოკითხულთა საფოსტო ინდექსების მეშვეობით დადგინდა, რომელი რესპოდენტები ცხოვრობდნენ ღარიბ დასახლებებში. დასახლებისთვის დაბალშემოსავლიანის სტატუსის მინიჭებიდან ხუთი წლის თავზე მონაწილეებმა შეავსეს ფსიქო-სოციალური კითხვარი, რათა დადგენილიყო, ჰქონდათ თუ არა მათ დიდი დეპრესიული აშლილობა. სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით, მეცნიერებმა სიღარიბესა და სტრესს შორის კავშირი განათლების, ჯანმრთელობის ისტორიისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით შეისწავლეს. კვლევამ აჩვენა, რომ დაბალშემოსავლიან დასახლებაში ცხოვრება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზეგავლენას მართლაც ახდენს – ყოველ შემთხვევაში, კაცებში მაინც. კერძოდ, გამოვლინდა, რომ ყველაზე მიუსაფარ ადგილებში მცხოვრებ კაცებში დეპრესიის განვითარების საფრთხე სხვა რეგიონებში მცხოვრებ კაცებთან შედარებით 51 პროცენტით მაღალია. ხოლო ქალებში სტატისტიკური ღირებულების მქონე მსგავსი მაჩვენებელი არ გამოვლინდა. კვლევის მიზანი ამ შედეგის უკან მდგარი მიზეზების გამორკვევა არ ყოფილა, ამიტომ გაჩენილ კითხვებზე პასუხის გასაცემად დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო. ამის მიუხედავად, სავარაუდო მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ოჯახის შენახვის კუთხით მთავარი პასუხისმგებლობა სწორედ კაცებს აწევთ. ბოლოდროინდელმა კვლევამ, რომელიც შეისწავლიდა დეპრესიის რისკებს ქალებსა და კაცებში, აჩვენა, რომ სამსახურში დაკისრებული მოვალეობების შესრულებასთან და ოჯახის სათანადოდ რჩენასთან დაკავშირებული მარცხი უფრო დიდ გავლენას სწორედ კაცებზე ახდენს. ეს უკანასკნელები სამსახურთან და ფინანსებთან დაკავშირებულ სტრესულ ფაქტორებთან მიმართებით ქალებზე მეტად მგრძნობიარენი არიან. იმავე კვლევის თანახმად, ქალებში დეპრესიის რისკს ყველაზე მეტად ურთიერთობებსა და სოციალურ სიტუაციებთან დაკავშირებული პრობლემები ზრდის. მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მშობლის სითბოს ნაკლებობის განცდა და ქორწინებით უკმაყოფილება, დიდ გავლენას ახდენს ქალების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ამასთან, მართალია, დაბალშემოსავლიან დასახლებებში ქალები ნაკლებად დეპრესიულები არიან, თუმცა სხვა კვლევის მიხედვით, ისინი კაცებზე მეტად შფოთავენ. მსგავსი განსხვავებების არსებობა ცხადყოფს, რომ საცხოვრებელი გარემოს ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის გენდერული კუთხით შესწავლა ერთობ მნიშვნელოვანია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადამიანთა დიდი ნაწილი რესურსების ნაკლებობას განიცდის. მეორე მხრივ, დეპრესიაც კაცობრიობის გლობალური პრობლემაა. ცოდნა იმისა, თუ როგორ მოქმედებს ცხოვრებისეული სიდუხჭირე კაცებსა და ქალებზე, დაგვეხმარება, ვფოკუსირდეთ ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე. ეს კი ერთობ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.



მიუხედავად იმისა, გამოუცდიათ თუ არა ადამიანებს თავიანთ თავზე დეპრესიის რთული პერიოდი და მისი მძიმე შედეგები, იციან თუ არა რას გრძნობს და განიცდის ადამიანი ასეთ დროს, მაინც რთულია იმის ყურება, როგორ იტანჯება ახლობელი ადამიანი ამ მდგომარეობით. ხშირად, კრიტიკულ სიტუაციებში ვკარგავთ რაციონალურ აღქმას, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ მათ დასახმარებლად, რა არის სწორი და რა არასწორი. როგორ ვიპოვოთ ის ნეიტრალური და სწორი სიტყვები, რომ თავიდან ავირიდოთ მათი მდგომარეობის დამძიმება და შევუმსუბუქოთ რთული ემოციური მდგომარეობა. ძვირფასი ადამიანის დეპრესიას ნუ აღიქვამთ, როგორც იმაზე დიდ უცნაურობას, ვიდრე რეალურად არის. მივიღოთ მისი მდგომარეობა ბუნებრივად. გვახსოვდეს, მისი ქმედებები, რომლებიც ჩვენ ძალიან უცნაურად გვეჩვენება, მისი მდგომარეობისთვის საკმაოდ ბუნებრივია. ასე რომ, თუ გვერდით გყავთ მეგობარი, ან პარტნიორი, რომელიც დეპრესიაშია, ნუ მიატოვებთ მას, ნუ დატოვებთ მარტო. გამოხატეთ რაც შეიძლება მეტი სიყვარული და იზრუნეთ მასზე. მას რეალურად თქვენ გვერდით ყოფნა სურს და ძალიან სჭირდებით, უბრალოდ ამას ვერ გეუბნებათ.

---

# ბედნიერების ჰორმონი

***ბედნიერება ეს არის ემოციური მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი, არსებული პირობებიდან გამომდინარე, შინაგან კმაყოფილებას გრძნობს. ბედნიერი ადამიანის ცხოვრება შინაარსიანია და მას აქვს კონკრეტული მიზნები. თანამედროვე ფსიქოლოგთა მიერ ამ მდგომარეობის აღმწერი დეფინიცია სწორედ ასეთია.***

დღეს ბიოლოგიას და მის სხვადასხვა დარგს, ადამიანის ყველანაირი ფიზიკური თუ ემოციური მდგომარეობა გამოკვლეული აქვს. შესაბამისად, ჩვენს ბედნიერებასაც გამოენახა თავისი ფიზიოლოგიური მექანიზმი. ადამიანის ბედნიერებაში დიდ როლს თამაშობს ჩვენი ორგანიზმის მიერ შინაგანად გამომუშავებული ნივთიერება - ენდორფინი. მისი როლი როგორც „ბედნიერების ჰორმონის“, უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია. მეცნიერები ცდილობენ, სხვადასხვა მიზნისთვის მის გამოყენებას. თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა „ბედნიერების“ ხელოვნურად გამოწვევისთვის, გვასწავლის ენდოკრინოლოგი **ნოდარ სახეიშვილი.**

რა არის ენდორფინები?

ენდორფინები მიეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც გამომუშავდება თავის ტვინში. მათ შეუძლიათ, მტკივნეული შეგრძნებების ბლოკირება და ადამიანის ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა. ენდორფინები წარმოიქმნება ნივთიერებისგან, რომელიც ჰიპოფიზში სინთეზირდება. არსებობს მოსაზრება, რომ ენდორფინები ადამიანის ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციას არეგულირებს. ზოგადად, ჰიპოფიზი ორგანიზმის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ინარჩუნებს რა ჰორმონალურ წონასწორობას.

როგორ მოქმედებს ენდორფინები ორგანიზმზე?

ენდორფინების მოქმედების მექანიზმი წააგავს ზოგიერთი ნარკოტიკული ნივთიერების მოქმედების მექანიზმს, რომლის არსიც ნერვული დაბოლოებების ბლოკირებაშია. ნერვული დაბოლოებები მტკივნეულ შეგრძნებებზე აგებს პასუხს. ნარკოტიკული ნივთიერების ან ენდორფინის მოლეკულა უკავშირდება რეცეპტორს, რის შედეგადაც იწყება თავის ტვინის ქერქის კონკრეტული უბნების აქტივაცია და აღმოცენებული ნერვული იმპულსები ბლოკავს მტკივნეულ სიგნალებს. ადამიანი, რომელიც ენდორფინების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, ვერ გრძნობს უსიამოვნო ზემოქმედებას, რადგან განსაზღვრული ნერვული დაბოლოებები დათრგუნულია. ენდორფინს ადამიანი ეიფორიაში მოჰყავს, მას ასევე „ბუნებრივ ნარკოტიკს“ ან „ბედნიერების ჰორმონს“ უწოდებენ. ნებისმიერი დადებითი განცდა იწვევს სისხლში ენდორფინების დონის მატებას.

როგორ გამოვიწვიოთ ორგანიზმში ენდორფინების გადმოსროლა?

იმისთვის, რომ ორგანიზმში ენდორფინების გამოთავისუფლება გამოვიწვიოთ და თავი ბედნიერად ვიგრძნოთ, სულაც არ არის საჭირო რაიმე ექსტრემალური ქმედების ჩადენა ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება. არსებობს უამრავი ბუნებრივი და უსაფრთხო მეთოდი, რომელიც ენდორფინების გადმოსროლას უწყობს ხელს. ახლახან ჩატარებულ ცდებზე დაყრდნობით, ფიზიოლოგები გვირჩევენ წიწაკა ჩილის გამოყენებას. გაიჩერეთ წიწაკა ენაზე ცოტა ხნით და თქვენ არა მარტო თავს იგრძნობთ უკეთ, არამედ ტკივილისგანაც გათავისუფლდებით. მეორე მეთოდია - დადებითად აზროვნება. ამისთვის საჭიროა, საკუთარი აზრების კონტროლი და უარყოფითი მოსაზრების გაჩენისთანავე მისი დადებითით შეცვლა. ეს უზრუნველყოფს სისხლში „ბედნიერების ჰორმონის“ გადმოსროლას, რის შედეგადაც, თქვენ შეამჩნევთ, როგორ გაგიუმჯობესდათ განწყობა. სპორტი ხელს უწყობს ენდორფინების გადმოსროლას სისხლში, ეს განსაკუთრებით სირბილს, ცურვას, ტენისს ანუ სპორტის იმ სახეობებს ეხება, ვარჯიშს ხანგრძლივი დროით რომ მოითხოვს. ვარჯიშისას, გარკვეულ მომენტში, თქვენ იგრძნობთ აბსოლუტურ სიამოვნებას - ეს სისხლში ენდორფინების დონის მატებაზე მიუთითებს. ყველაზე ძლიერი მეთოდი ამ მხრივ სექსუალური კონტაქტია. ახალი შთაბეჭდილებები, როგორიცაა თეატრში ან კონცერტზე წასვლა ასევე მოქმედებენ ენდორფინის დონეზე. მუსიკა, რომელიც თქვენში ცრემლებს იწვევს, ენდორფინის გამოყოფის ეფექტური სტიმულატორია. ზოგადად, მუსიკისა და ჩვენი ორგანიზმის კავშირზე ალბათ, ცალკე უნდა აღინიშნოს. შოკოლადის ზომიერად მიღება ასევე იწვევს განწყობის ამაღლებას, თუმცა არ ღირს მისი ჭარბად მიღება. ეს არასასურველია როგორც ჯანმრთელობისთვის, ასევე ვიზუალური სრულყოფილებისთვის. ულტრაიისფერი სხივებიც უზრუნველყოფს ენდორფინების გამოყოფის სტიმულირებას, თუმცა საჭიროა ზომიერების დაცვა. მკვლევართა აზრით, ულტრაიისფერი სხივების აღნიშნული თვისება განაპირობებს სოლარიუმების პოპულარობას იმ ქალბატონებში, რომლებიც ერთხელ მაინც ეწვივნენ ამ დაწესებულებას. სისხლში ენდორფინების დონის მომატება შეუძლია სხვადასხვა საკვებს. მაგალითად, მდოგვს, კარტოფილს, ბანანს, რძეს და, როგორც აღვნიშნეთ, წიწაკა ჩილის. აქედან გამომდინარე, ჩვენი ყოველდღიური რაციონის მიხედვით, ერთგვარად შეგვიძლია უფრო ბედნიერები გავხდეთ.

რა როლს თამაშობს ენდორფინები დეპრესიის ფორმირებაში?

ენდორფინის უკმარისობა იწვევს განწყობის დაქვეითებას და აპათიას, ანუ დეპრესიას. ნებისმიერი ადამიანის მიზანი საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სიამოვნების მიღებაა. სიამოვნების შეგრძნება ვითარდება ჩვენს ორგანიზმში ენდორფინების გამოთავისუფლებისას, რომლებიც ქიმიური შემადგენლობით ძალიან ჰგვანან მორფინს. ამიტომაც ეწოდება ამ ნივთიერებას „ენდორფინი“ - ენდოგენური მორფინი. როგორც აღვნიშნეთ, სისხლში ენდორფინების დონის მომატებას იწვევს სხვადასხვა დადებითი მოვლენა და სასიამოვნო პროცესი, რის შედეგადაც ვგრძნობთ სიხარულს ან ბედნიერებას. ამიტომაც, დეპრესიის დროს ადამიანებს აღენიშნებათ მადის მომატება, ისინი ბევრს ჭამენ, რაც მათ სიამოვნებას ჰგვრის, ანუ იზრდება „ბედნიერების ჰორმონის“ გამომუშავება. სამწუხაროდ, ენდორფინების გამომუშავებას ხელს უწყობს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება, კერძოდ ჰეროინის, რომელიც თავისი მოქმედებით ძალიან ჰგავს ენდორფინებს. ამასთან, ეს ნივთიერებები სწრაფად მოქმედებს ჩვენს რეცეპტორებზე. თუმცა, ამ ნივთიერებების გამოყენების შემდეგ, ადამიანს ჩვეული სიამოვნება აღარ აკმაყოფილებს.

– რამ შეიძლება გამოიწვიოს ენდორფინების უკმარისობა?

-ენდორფინების გამომუშავება შეიძლება, შემცირდეს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის დროს. ადამიანს, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებაზე, ორგანიზმში ენდორფინის დონე დაქვეითებული აქვს. ასეთი ადამიანები თავს „ნორმალურად“ მხოლოდ მაშინ გრძნობენ, როდესაც ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას მიიღებენ, ამით პირდაპირი ან ირიბი გზით აძლიერებენ ენდორფინების გამომუშავებას. ალკოჰოლიკებსა და სხვადასხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულ ადამიანებს აღენიშნებათ სხვა სახის დარღვევებიც, განსაკუთრებით, ნივთიერებათა ცვლის მოშლა. ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღება იწვევს ენდორფინების დიდი რაოდენობის გამოყოფას, რის შემდეგაც ორგანიზმი ამ ნივთირებების გაზრდილ დოზას ეჩვევა და რამდენიმე ხნის შემდეგ ორგანიზმის სხვადასხვა სისტემა წამლის გარეშე ველარ ფუნქციონირებს. თუ ადამიანი ნარკოდამოკიდებულია და ენდორფინებს გარემოდან იღებს, მაგალითად, ჰეროინის საშუალებით, რამდენიმე ხნის შემდეგ ორგანიზმი წყვეტს ბუნებრივი ენდორფინების გამომუშავებას.

— როგორი გავლენა გააჩნია მუსიკას ენდორფინების გამომუშავებაზე?

— მუსიკალურ ნაწარმოებებს შეუძლია, სისხლში ენდორფინების დონის მომატება. ენდორფინი, რომელიც გამომუშავდება ჰიპოფიზში, „ბუნებრივი ნარკოტიკია“ და რჩება სამედიცინო კვლევების საგნად. ბიოქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმში გამომუშავდება დადებითი განცდებითა და მუსიკით გამოწვეული ემოციების მოქმედების შედეგად, ხელს უწყობენ ორგანიზმში საკუთარი ტკივილგამაყუჩებლების გამომუშავებას და იმუნიტეტის მომატებას. არსებობს თეორია, რომ მუსიკით მიღებული სიამოვნება ენდორფინების გამოთავისუფლების შედეგია. დადგენილია, რომ მუსიკალური თერაპია მშობიარეებს ეხმარება სამშობიარო ტკივილების შემცირებაში. მეტიც, მშობიარობისას მუსიკის გამოყენება მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერაც კი არის რეკომენდებული. სტრესისა და მტკივნეული შეგრძნებების შემცირებასთან ერთად, ბუნებრივი მაღალსიხშირიანი ბგერითი სიგნალები ხელს უწყობს სისხლში ლიმფოციტების რაოდენობის გაზრდას, რაც თავისთავად, სხვადასხვა დაავადებისადმი ორგანიზმის ბუნებრივი წინააღმდეგობის უნარს ზრდის.

**გვერდი მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# „პოეზია ჩემი სულის ძახილია“

„ახალგაზრდობა, ვით სიზმარი, უცებ წავიდა,
დაიწყებოდეს ეს ცხოვრება ნეტავ თავიდან“
**მ.რობიტაშვილი**

ძველ თაობას კარგად ემახსოვრება, საშუალოს გაგონილი მაინც ექნება, ხოლო ახალგაზრდობამ, სავარაუდოდ, არც კი იცის, რომ გასული საუკუნის 50-70-იან წლებში სოფელს მხოლოდ ერთი ექიმი ემსახურებოდა და მას თერაპევტი ეწოდებოდა. იშვიათად შეხვდებოდით სოფელში სტომატოლოგებსაც. ეს ერთი თერაპევტი იყო სოფელში ხალხის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი. ისინი ყოველმხრივ განსწავლულ-განათლებულნი იყვნენ და მედიცინის ყველა დარგში დასპეციალებულნი. ამიტომ, სოფელში ექიმი პირველი კაცი იყო, მითუმეტეს, თუ თავისი ცოდნით სახელს გაითქვამდა, მთელი გარშემო სოფლებიდან პაციენტები მას აკითხავდნენ სახლში, სამუშაო საათების შემდეგ. ასეთი ექიმების გვარი და სახელი მთელმა რაიონმა და კუთხემ იცოდა. სწორედ მათ რიცხვში იყო სოფელ ზემო მაჩხაანში გიორგი რობიტაშვილი, რომელსაც ყველა „გოგია ექიმს“ ეძახდა. უტყუარი იყო მისი დიაგნოზი, უებარი - მისი რეცეპტი. ოთხი-ხუთი ათეული წელი ემსახურა იგი მშობლიურ სოფელს და მთელ ქიზიყს. დინჯი, აუღელვებელი, თითოეული მისი სიტყვა დამაჯერებლად ჟღერდა. კმაყოფილი პაციენტები მის „მარჯვენას“ ლოცავდნენ. ოჯახიც სანაქები ჰქონდა: სამი ვაჟის მამა იყო და მისი დიასახლისი მეუღლე, ქალბატონი მარიამი, მთელ დროს შვილების სწავლა-განათლებას და სწორად აღზრდას ახმარდა. შედეგიც სასურველი მიიღეს. უფროსი ვაჟი, ალექსანდრე (ალიკო) წარმატებული მეცნიერია, პროფესორის ხარისხი აქვს და თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში კავშირგაბმულობის და კომუნიკაციების კათედრას ხელმძღვანელობს. ორი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავს. უმცროსი შვილი გია, მამის კვალს გაჰყვა. ექიმი გახლავთ. თავდაუზოგავი შრომის შემდეგ ის დღეს დამსახურებულ პენსიაზეა, ჰყავს ქალ-ვაჟი და შვილიშვილები. რაც შეეხება შუათანას, მირიანს, მასზე დღეს გამორჩეულად ვისაუბრებთ, რადგან ის ჩვენი წერილის მთავარი გმირი და, ამავდროულად, იუბილარიცაა. 7 აგვისტოს ბატონი მირიანი 75 წლის ხდება. მისი მშობლიური ზემო მაჩხაანელების, ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის და გაზეთ „შირაქის“ რედაქციის სახელით ვულოცავთ მას ამ მნიშვნელოვან თარიღს, რომელიც არც ცოტაა და არც ბევრი, მაგრამ საკმარისი იმისთვის, რომ უკან მოიხედო, თვალი გადაავლო შენს განვლილ გზას და შეაფასო. ბატონი მირიანის მიერ განვლილი გზა კი გაჯერებულია სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობით.

**მინი დოსიე:** დაიბადა 1945 წლის 7 აგვისტოს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში. 1952 წელს შევიდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში, 1957 წელს გადმოვიდა ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1962 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის, მებაღეობისა და მებოსტნეობის ფაკულტეტზე. 1968-71 წლებში მუშაობდა სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ენტომოლოგად. შემდეგ დაიწყო ინტენსიური სამეცნიერო მუშაობის პერიოდი. 1972-89 წლებში იყო მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერმუშაკი. 1986 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს ათამდე სამეცნიერო ნაშრომი. 1989 წლიდან საქართველოს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტში აგროქიმიის ლაბორატორიის უფროსის მოადგილეა. ამჟამად პენსიაზეა. ჰყავს მეუღლე მარინა ტუხაშვილი და ქალიშვილი მარიამ რობიტაშვილი.

ამ მშრალად მოყოლილი ბიოგრაფიის მიღმა ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი მგრძნობიარე, ფაქიზი და შემოქმედებითი ადამიანი დგას. ამას კი ლექსების იმ კრებულის გაცნობის შემდეგ მიხვდებით, რომელიც მირიან რობიტაშვილმა 2017 წელს გამოუშვა. კრებულში „ქართული ცის ქვეშ“, ასზე მეტი ლექსია თავმოყრილი, გულდაგულ დალაგებული და დაყოფილი მათი შინაარსისა და იდეის მიხედვით: აქ გადმოცემულია ავტორის გულწრფელი სიყვარული სამშობლოსადმი, პატივისცემა ზენობრივი ნორმებისა და თავისუფლებისადმი, მოკრძალებული სიყვარული, პატივისცემა და ნათელი ხსოვნა მშობლებისა და დიდი წინაპრებისადმი, აგრეთვე, ლირიკული ლექსები .

წიგნი იხსნება ლექსით „რწმენა უფლისა“, რომელიც მთავრდება მოწოდებით: ***„ჩვენც გვქონდეს რწმენა უფლისა, ვიყოთ იესოს შვილები და შევასრულოთ პირნათლად, ლოცვებში დანაპირები“.*** სამშობლოს სიყვარული და მის მომავალზე ფიქრი ერთი წამითაც არ სტოვებს პოეტს: ***„დღეს დაფლეთილი შენი სხეული, მტკივა და ტკივილს ვეღარ გავუძლებ, შენ, ჩვენი ყრმობის ტკბილო სიზმარო, აღუწერელო წმინდა საუნჯევ! როგორ დაგჩეხეს და დაგაჩლუნგეს, ღვთისმშობლის წილხვედრ მადლით ცხებული, მინდა, მჯეროდეს, რომ კვლავ აღსდგები, იესოსავით ჯვარზე ვნებული...“*** და თავის სურვილს ხმამაღლა უძღვნის: ***„მეფე ერეკლეს სიჩაუქე, მეფე დემეტრეს თავდადება, სიბრძნე-საბასი, ნუ მოგიშალოს საქართველოვ, აწ და მარადის!“*** პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი მისი ლექსი „მინაწერი ჭაბუა ამირეჯიბის წიგნზე „დათა თუთაშხია“, რომელსაც ასე ამთავრებს: ***„შენნაირი ვაჟკაცები, მამულს რარიგ სწყურია“*** და რადგან ***„იყო მუდამ მტრის საჯიჯგნად ეს პატარა, ციცქნა მიწა“*** და რადგან ***„წინაპართ სისხლით ნაპოხი მიწა „ჯაყოს“ და „ვანკას“ ლანგრით მიართვეს“,*** ამიტომ ***„ჩამოწოლილა სევდა ნისლივით და სული ჩემი სხეულს მიათრევს...“***

და თუმცა პასუხს ვერ პოულობს - ***„ვინ უნდა გიპატრონოს მამულო, დაცემული, ჯვარზე გაკრულო და მრავალგზის წამებულო!?“*** მაინც არ ჰკარგავს იმედს: ***„იქნებ განიხვნეს კარი სამოთხის და უფლის ნებით კვლავაც გადავრჩეთ!“*** და მოუწოდებს; ***„ გაიღვიძე, უძველესო მიწავ, გაახილე მილულული თვალი, შეიბერტყე ნაომარი ტანი და მუმლივით მიმოფანტე მტერნი, გაიღვიძე და მოაშთე ყველა, ვინც გიპირებს დაგლეჯას და დაჭრას, რას დაგაკლებს იმპერიის ხელი, უანგაროს, დიდი ღმერთის წინ მართალს!“*** თავისუფლების მომღერალს თავისუფლების გზაზე მიმავალი საქართველოს არც ერთი ნაბიჯი არ გამორჩენია, რომ არ გამოხმაურებოდა. გულწრფელია მისი ***„ვედრება უფლისადმი“***: - ***„აღორძინე საქართველო, აღორძინე! ლახვარი მტრისთვის სიძულვილით ჩაასობინე! სამშობლოს ტრფობა სისხლში გენად გააჟონინე! რაც კი აქვს ცუდი-სამუდამოდ დაათმობინე! აღორძინე საქართველო, აღორძინე!“.***

დიდი წინაპრებისადმი მიძღვნილი განყოფილება იხსნება ლექსით ***„ფიროსმანი“ „შენ შთაგონებას გკარნახობდა თავად უფალი და ანგელოზი გიკოცნიდა დაკოჟრილ ხელებს“.*** ამით ავტორს სურს სოლიდარობა გამოხატოს, როგორც ქიზიყელმა, თორემ მისი მიძღვნები თითქმის ყველა ქართველ გენიოსსა და დიდ მამულიშვილს ეხება: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი, მუხრანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, მეფეთა-მეფე თამარი, აღმაშენებელი და გორგასალი, დემეტრე თავდადებული და პატარა კახი და სხვანი და სხვანი. გამორჩეული სითბოთი, სიყვარულით, მონატრებითა და მადლიერებით არის გაჟღენთილი მშობლების ხსოვნისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსი. გრძნობით სავსეა მისი ლირიკა, სიყვარულით აღმაფრენა თუ განშორების სევდა, დაბრუნების იმედი თუ ფუჭი მოლოდინი, სატრფიალო თუ სალაღობო ლექსები აშკარად გაჩვენებს თუ რა ფაქიზია მისი სული და გრძნობა წრფელი. და მაინც, რა არის მისთვის პოეზია?

„პოეზია ჩემი სულის ძახილია,
აფეთქებულ გაზაფხულის ხილვაა,
ბებერ თერგის ტალღებივით მჩქეფარე და
ქართლის დედის ცრემლებივით წმინდაა..

თვალს გადაავლებთ, გაეცნობით მირიან რობიტაშვილის შემოქმედებას და თქვენ თვალწინ დაგიდგებათ პატრიოტი, განათლებული, მშრომელი, კეთილშობილი, ღრმადმოაზროვნე ადამიანი, ისეთი, როგორიც ბევრი გინდა რომ ჰყავდეს ქვეყანას. კიდევ ერთხელ მივულოცოთ ბატონ მირიანს საიუბილეო 75 წლისთავი, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, ბევრი სიხარული ოჯახსა და ახლობლებთან ერთად და კვლავაც შემოქმედებითი წარმატებები. ქვემოთ კი გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

ნაირა გორაშვილი



### დედოფლისწყარო

შენ თამარ მეფის სახელი გქვია
და ღირსეულად უნდა ატარო,
ქიზიყის გულში ვარდად გაშლილო,
ჩვენო ლამაზო დედოფლისწყარო!
შირაქის ველის ბარაქა გშვენის,
შრომის ფერხულში ჩაბმულა ხალხი,
იმხიარულე და გაიხარე,
ეგ სილამაზე გქონდეს მარადის!
ქიზიყის გულში ამაყად მდგარი,
ხარ ჭარმაგი და კოხტა ქალაქი,
მინდა რომ იდგე, როგორც ბერმუხა
და შენ მოგიძღვნა ათასი ვარდი !
ძველი ქიზიყის მტკიცე ბურჯი ხარ,
თავისუფლებით მინდა იხარო,
ქიზიყის გულში ვარდად გაშლილო,
ჩვენო ლამაზო დედოფლისწყარო!

### განშორება

„რაც უფრო შორს ხარ,
მით უფრო ვტკბები,
მე შენში მხიბლავს
ოცნება ჩემი“
გალაკტიონი

მე შენზე ვფიქრობ, მას შემდეგ როცა,
წახვედი ჩემგან და მიმატოვე,
აღარ მცილდება უთქმელი სევდა
და ვეღარ ვუძლებ ვერც სიმარტოვეს.
გარეთ კი – ცივა და მძლავრობს ქარი,
ქარი ურჩი და დაუნდობელი,
ფოთოლთა გროვა ჰაერში დაჰქრის
და ქარს მორჩილებს ირგვლივ ყოველი...
ათრთოლებული ვარდის ფურცლები,
ქარმა უნდობლად მტვერში ჩაყარა,
ღამემ კი იგრძნო ქარის წადილი
და ვარდის ფურცლებს გადაეფარა.
მთვარემ გაცურა ღრუბელთა გროვა
და გადმოხედა მიწას მოწყენით,
შევყურებ ზეცას, ვით საოცრებას,
განგებისაგან ჩვენთვის მოვლენილს.
ჩუმად მივყვები უმიზნო დღეებს,
დღეები რბიან ცხენთა ჭენებით,
შორს კი-ვით შავება ტაძარი მოჩანს
და პირჯვარს ვიწერ დაღლილ ხელებით...

### უსიყვარულოდ

გადაიყარა ღრუბლები ცაზე
და მზემ პირქუში გააპო სივრცე,
როგორც პატარა, სათუთი ბავშვი,
მოგონებიდან უმწეოდ გიმზერ...
უმწეოდ ვუმზერ შენს ლამაზ თვალებს
და მოლოდინში ჩამქრალ ნაპერწკალს,
მუდამ და ყველგან, დღისით და ღამე,
სულ თან დამყვება შენი სახება.
გაივლის წლები და დრო წალეკავს,
ჩვენს უიმედო ფიქრებს-სევდიანს
და სინანულით გაგვახსენდება,
უსიყვარულოდ-რარიგ ძნელია...

### ომგამოვლილი ჯარისკაცის აღსარება სატრფოსადმი

გამოვიარე ომის ქარცეცხლი,
რომ მოვსულიყავ შენთან მშვიდობით,
მტერს-მოძალადეს მედგრად ვუტევდი
და უნებურად შენზე ვფიქრობდი...
მესიზმრებოდა ქართლის ბაღები
და საქართველოს ზღაპრული ხედი,
მონატრებული მშობლიურ მთა-ველს,
შენზე ვფიქრობდი და ლექსებს ვწერდი.
დღისით და ღამით, მტერს რომ ვუტევდი
და მივიკვლევდი გზებს გამაფრებით,
სულ თან დამდევდა და მამხნევებდა,
სევდით აღსავსე შენი თვალები...
მენატრებოდა აპრილის დილა
და რუსთაველი-მუდამ მზიანი,
მაგრამ სიკვდილზე არც კი ვფიქრობდი,
იმ ქარიშხლებთან თანაზიარი.
და აჰა, მოველ ღამენათევი,
ნატყვიარი და ლანდად ქცეული,
შეხედე, დასტკბი და შეიყვარე,
ნაიარევი ჩემი სხეული.

### სიმღერა საქართველოზე

გადამწვარო მტრისაგან
და სფინქსივით აღმდგარო,
მხარევ, დოვლათიანო,
რომელ ზღაპარს გადარო?!
შენი ბაღი, ვენახი,
ბევრჯერ მტერმა გათელა,
ლომგული შემართება,
მუდამ გქონდა რამხელა!
მრავალ ჭირთა მომთმენო,
ზოგჯერ თვალცრემლიანო,
მრავალ გმირთა მშობელო,
მხარევ, მკერდმადლიანო!
ზვრებად გადაქარგულო,
დახუნძლულო ვაზებო,
მამულის სიყვარულში,
გაფრენილო წამებო!
თერგო, მტკვარო, რიონო,
ალაზანო, ენგურო,
მხარევ, ლაზათიანო,
სხვაგან ვერსად ვერ გპოვო!
შენთვის სისხლდანთხეულო,
წინაპართა ლანდებო,
მრავალ ჭირთა მნახველო,
ციხეებო, ტაძრებო!
მრავალ ომგამოვლილნო,
ეხლა პირმომცინარნო,
ჯვარო, სვეტიცხოველო,
ჩამოსულნო ციდანო!
ცად ასულო ყაზბეგო,
ნისლფენილო შხარაო,
თქვენი ხილვით დამტკბარმა,
ბევრმა გაიხარაო!
მიწავ, ერთო მტკაველო,
ოქროს ყანებიანო,
ოფლით შუბლდაცვარულო,
ხალხო, ხელმადლიანო!
მხარევ, სიკეთიანო,
ბოროტების მგმობელო,
შოთას, ვაჟას, ილიას,
და აკაკის მშობელო!

### საკუთარ თავს

არვის იმედით,
მარტოდღა შენით,
უნდა გალიო წუთისოფელი...
საკუთარ მხრებით,
უსაზღვრო რწმენით,
გადაიტანო უნდა ყოველი...

### გზა ჭეშმარიტებისაკენ

გიყვარდეს, გწამდეს,
ერის განძი:
ვაჟას არწივი,
შოთას ვეფხი,
ტატოს მერანი,
არ უღალატო,
სიმართლის გზას
და გძლევს ვერავინ...

### ერის სატკივარი

რომ იყვნენ კაცნი კაცურნი,
ეს არად უღირს ბევრს
და იქცევიან იმგვარად,
რომ ახარებენ მტერს.
მერედა ჩვენს ქართველობას,
შეეფერება ეს?
რა წინაპრები გვყოლია,
აზანზარებდნენ მთებს.
იყვნენ ვაჟკაცნი მართალნი,
ასახელებდნენ ერს,
სიტყვით და საქმით ვარგოდნენ,
არ ახარებდნენ მტერს.
ეზიზღებოდათ ორგული
და უსამართლო კაცი,
პატიოსნება ფასობდა,
რწმენა ფასობდა მაშინ...
დღეს კი...
რომ იყვნენ კაცნი კაცურნი,
ეს არად უღირს ბევრს
და იქცევიან იმგვარად,
რომ ახარებენ მტერს...

### ვანო სარაჯიშვილი

„ანაგის კულტურის სახლის გახსნის
ზეიმზე ჩამოსული და ბანკეტზე მყოფი
დიდი მომღერალი გაცივდა, რაც
საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის“

იდგა საღამო, ანაგის თავზე,
როს ამოცურდა ქათქათა მთვარე,
იყავი ლხინში და ხალხის თხოვნით,
იმეორებდი „დაისის“ჰანგებს.
კახური ღვინით გაბრუებული,
შენ „თაო ჩემოს“ სევდით მღეროდი
და რა იცოდი, თუ მოკლე ხანში,
მწველ მოგონებად გადიქცეოდი.
ან რა იცოდი, თუ ეს სიმღერა,
„გედის სიმღერა“ იყო იმ წუთში
და სიმღერებით გადაქანცული,
მაგრად ჩაგიკრა მამულმა გულში...

# რატომ იკარგებიან ადამიანები?!

***2020 წელს, 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, საქართველოში სულ 54 ადამიანი დაიკარგა. მათგან 34 -ს მიაგნეს, სამწუხაროდ, 8 გარდაცვლილი აღმოჩნდა, დანარჩენ 20 ადამიანს კი დღემდე ეძებენ, მათ შორის 3 არასრულწლოვანს.***

***ამ სტატისტიკაში ვერ მოხვდებოდა სვანეთში დაკარგული 13 წლის მოზარდი, რადგან სტატისტიკა 30 ივნისს არის შედგენილი, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე უკვე 4 არასრულწლოვანს ეძებდნენ.***

***მძიმეა გასული წლის სტატისტიკაც, 2019 წელს საქართველში სულ 195 ადამიანი დაიკარგა, მათ შორის თბილისში 59 ადამიანი გაუჩინარდა, დაკარგული 195 პირიდან, 123 იპოვეს, მათ შორის 10 გარდაცვლილი ნახეს. გასულ წელს დაკარგულ 62 ადამიანს კი კვლავ ეძებენ.***

***შსს-ის სტატისტიკის მიხედვით, 1973 წლიდან 2020 წლის 30 ივნისამდე საქართველოში სულ დაიკარგა 6025 ადამიანი, აქედან 5039 ადამიანის კვალს მიაგნეს. ამ დრომდე უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა 986 ადამიანი. სტატისტიკის თანახმად, ამ წლების განმავლობაში დაკარგული ადამიანების 34% ქალია, მათგან 204 ქალის ადგილსამყოფელი დღემდე დაუდგენელია, ხოლო დაკარგულთა 66% კი მამაკაცია. სულ კი 782 მამაკაცი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.***

***1973 წლიდან 2020 წლის ივნისამდე 31 არასრულწლოვანია დაკარგული, ვისი ადგილსამყოფელის დადგენაც ვერ ხერხდება.***

***პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება სასამართლოს გზით ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. თუ პირის ადგილ-სამყოფელი უცნობია და ორი წლის განმავლობაში არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას, სასამართლო მას უგზო-უკვლოდ დაკარგულის სტატუსს ანიჭებს. იმ შემთხვევაში, თუკი დაკარგულად აღიარებული პირი დაბრუნდა ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენა მოხდება, სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება.***

***მძიმეა იმ ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც ოჯახის წევრებს ეძებენ.***

- **სად გაქრა ილია ფილფანი?**

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 12 დღეა ეძებენ სვანეთში დაკარგულ 13 წლის მოზარდს, ილია ფილფანს. ბავშვი 18 ივლისს, დილის 11 საათზე, საცხოვრებელი სახლიდან ველოსიპედით გავიდა და მას მერე მისი კვალი სოფელ ლენჯერიდან ქრება. ბიჭს ოჯახის წევრებისთვის არ უთქვამს, თუ სად მიდიოდა.

ილიას მუქი ფერის ტანსაცმელი ეცვა და თავზე კეპი ეხურა. ძებნა მამამ მალევე დაიწყო, მთელი სოფელი მოიარა, მაგრამ შვილის კვალს ვერსად მიაგნო. საეჭვო მხოლოდ ერთი გარემოება იყო, მამამ სახლიდან ერთ კილომეტრში, მდინარე ენგურიდან 50 მეტრში, ველოსიპედის კვალი ნახა, ის კვალს გაყვა და შვილის საძებნელად ტყეში შევიდა, იქ ვერავინ რომ ვერ ნახა, მალევე უკან გამობრუნდა. მაშინ შენიშნა, რომ ამჯერად ველოსიპედის ნაკვალევი საპირისპირო მიმართულებით ჩანდა, ამიტომ ახლობლები ვარაუდობდნენ, რომ ბიჭი მამას დაემალა. თუმცა, ეს იყო თუ არა რეალურად ილია ფილფანის ველოსიპედის ნაკვალევი, ზუსტად არავინ იცის. მამამ იმავე საღამოს, 11 საათზე, 112-ში დარეკა და დახმარება სამართალდამცავებს სთხოვა. მას მერე სამძებრო სამუშაოებში პოლიციასთან ერთად, 80-მდე მეხანძრე-მაშველი ჩაერთო და დაკარგულს ყველგან ეძებენ, განსაკუთრებით სვანეთის ტერიტორიაზეა გაძლიერებული სამძებრო სამუშაოები. მათ შორის ბავშვს ეძებენ ზღვის სანაპიროზეც, თბილისშიც. პარალელურად თავიანთი გზებით ეძებს მოზარდს სოფლის მოსახლეობა და ნათესავები, მაგრამ ჯერჯერობით ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს, არავინ იცის, სად გაუჩინარდა ბავშვი. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ ილია ფილფანი მესტიისა და სოფელ ლენჯერის შემოგარენში მთებიდან ველოსიპედით ხშირად ეშვებოდა. ამიტომ აქტიურად განიხილება უბედური შემთხვევაც, თუმცა ოჯახი იმედს არ კარგავს, რომ მათი შვილი ცოცხალია. გამოძიება საქმეზე 143-ე მუხლით დაიწყო, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს. ცნობილია, რომ ბავშვმა ქართული არ იცის. ის ბებიასთან სტუმრად იყო ჩამოსული. თუ ვინმემ რამე იცის ილია ფილფანის ადგილსამყოფელის შესახებ, გთხოვთ დარეკოთ 112-ში, ან დაუკავშირდეთ მის ახლობლებს ამ ნომრებზე: 595 40 96 84; 591 54 26 53.

- **"ირაკლი, გამოჩნდი!"**

6 თვეა ასევე უშედეგოდ ეძებენ ფოთში დაკარგულ 32 წლის ირაკლი ჯაბუას. იგი გადამზიდავი ავტომობილის მძღოლად მუშაობდა. 31 იანვარს, მორიგი რეისის შესასრულებლად სახლიდან დილით ადრე გავიდა, თუმცა მანქანებით დატვირთული ავტომობილი ქალაქის გასასვლელში, მდინარე რიონის ხიდთან მიტოვებული იპოვეს. მას მერე საძიებო სამუშაოები მდინარე რიონში თითქმის 2 თვე მიმდინარეობდა, ჩართული იყვნენ მყვინთავები, სპეცტექნიკა, ასევე კატერი, რომელიც ფსკერს ასკანერებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშველებთან ერთად სამძებრო სამუშაოებში თბილისიდან განსაკუთრებული საქმეების წრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს მაშველებიც ჩაიყვანეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს კვალს. შს სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. 6 თვის თავზეც არ არის ცნობილი, სად გაუჩინარდა ირაკლი ჯაბუა. ოჯახი ისევ იმედს ებლაუჭება. განადგურებული დედა და ნათესავები ფიქრობენ, რომ ის ცოცხალია და სამართალდამცავებს დაკარგულის პოვნაში დახმარებას ისევ თხოვენ.

**ირაკლი ჯაბუას და, სოფო ჯაბუა:**

"ირაკლი 31 იანვარს, დილით, 7-ის ნახევარზე გავიდა სახლიდან. ის გადამზიდი მანქანის მძღოლად მუშაობდა. მანქანები ჰყავდა გადასაყვანი. ჩვენ სამსახურში გვეგონა, დედამ საღამოს 9 საათზე დაურეკა და ტელეფონს რომ არ პასუხობდა, შეშინდა, მერე მანქანის პატრონმა მოიძია მისი მანქანა და ფოთის გასასვლელში, რიონის ხიდთან, სათვალთვალო კამერების წინ დაყენებული იპოვეს მანქანებით დატვირთული ევაკუატორი. ირაკლი კი არსად ჩანდა. თავიდან არ შეგვშინებია, ვიფიქრეთ გამოჩნდებოდა, ამ ფაქტამდე ორჯერ მოიქცა ასე, ერთხელ ერთი დღით დაიკარგა, მეორედ - 3 დღის შემდეგ გამოჩნდა. ძალიან მორიდებული ადამიანია, საკუთარი დედის და დედ-მამიშვილებისაც კი ერიდება. ვიფიქრეთ გამოჩნდებოდა, მაგრამ მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდა, შევშინდით, ტელლეფონზე ზარი მეორე დღესაც შუა დღემდე გადიოდა. ტელეფონით წყალში რომ შესულიყო, ხომ გაითიშებოდა.პოლიცია თვითმკვლელობის ვერსიით მიდის, მაგრამ 6 თვეა, ვერც მკვდარი ვიპოვეთ და ვერც ცოცხალი. მას შემდეგ უამრავი ადამიანი დაიკარგა, მათ შორის წყალში ბევრი დაიხრჩო, მაგრამ ყველას ცხედარი იპოვეს, ჩემი ძმის კვალს კი ვერ ვაგნებთ. პოლიცია ახლაც გვეუბნება, ვეძებთო, ზეგ ვართ ისევ დაბარებულები, მაგრამ არც ერთ მისვლაზე სიახლე არ გვხვდება. სრულ გაურკვევლობაში ვართ, თუ გარდაცვლილია სადმე, გამორიყავდა ცხედარს, ამიტომ ვფიქრობთ, იქნებ სადმე არის, ცოცხალია და იმალება. იმდენად მორიდებული ადამიანია, შეიძლება რცხვენია ახლა უკვე გამოჩენის, რადგან პოლიცია ჩაერთო და ამხელა ამბავი ატყდა.

**- რა პრობლემები ჰქონდა მას?**

- ირაკლის მტერი არ ჰყავდა, მისი პრობლემა აზარტული თამაშები იყო. დიდი მოთამაშე არ იყო, მაგრამ 100 და 200 ლარს რომ წააგებდა, ეს მისთვის დიდი ტრაგედია იყო. მერე ძალიან განიცდიდა, რცხვენოდა ოჯახის წევრების, მშობლების, იმ დღეს მანქანაში დიზელის საწვავის ჩასასხმელი ფული 200 ლარი ჰქონდა ჯიბეში და თავისი 50 ლარი. ირკვევა, ვიდრე რეისზე წავიდოდა, იმ ღამით ეს თანხა წააგო, მერე მანქანაში რომ ჩაესხა საწვავი, ეტყობა ამის ფული არ ჰქონდა. მას შეეძლო ნისიადაც ჩაესხა საწვავი, მაგრამ ეს რატომ არ გააკეთა. ან მოერიდა დედაჩემის, ან მანქანის მეპატრონის. მას შემდეგ სად გაუჩინარდა, არ ვიცით. ამიტომ პოლიცია თვითმკვლელობის ვერსიას განიხილავს, ამიტომ ეძებდნენ წყალში. ირაკლი 32 წლის არის, ოჯახი არ ჰქონდა შექმნილი, მშრომელი ბიჭი იყო. ადრე თურქეთშიც იყო წასული სამუშაოდ, მაგრამ ახლა არც საზღვარი აქვს გადაკვეთილი.

ბოლო ერთი თვე ყოველ დილით გამთენიისას გადიოდა სახლიდან. არ ვიცი რა ვიფიქრო, ძალიან მორიდებული იყო, თორემ 100 და 200 ლარისთვის თავს ვინ იკლავს. მის ტელეფონს ინტერნეტი არ ჰქონდა, იმ ღამით დედაჩემის ტელეფონით აქვს ნათამაშევი 250 ლარი. სხვა თანხა არ აქვს წაგებული. იქნებ ერიდება ახლა გამოჩენა და სადმე იმალება.

***მივმართავ ირაკლის, - თუ სადმე ხარ, გამოჩნდი. ჩვენ მოუთმენლად გელოდებით და ყველაფერი კარგად იქნება. მისი ძებნა წყალში მიატოვეს, პოლიციაში ამბობენ, მაინც ვეძებთო, მაგრამ არა მგონია ეძებდნენ, ისიც არ ვიცი კამერების ჩანაწერები ყველგან ამოიღეს თუ არა, არაფერია სიახლე, ყოველი ახალი თვის დასაწყისსი ვაახლებთ საქმესო. არასოდეს უთქვამს თავს რომ მოიკლავდა. დიდი თანხები არასოდეს უთამაშია. 20 ლარს თუ ითამაშებდა, ყველაზე დიდი 200 ლარი აქვს წაგებული. ამბობდა, მე მოვერევი ამ პრობლემასო, მაგრამ თამაში მოერია ჩემს ძმას".***

- **"ვერ გავიგე, ცამ ჩაყლაპა ჩემი შვილი? შეიძლება ასე იკარგებოდნენ ადამიანები?"**

ჯაბუების ოჯახისგან განსხვავებით მარიამ (ციცო) ლაზაშვილი, 7 წლის შემდეგაც ეძებს დაკარგულ შვილს. ოთარ ლაზაშვილი 22 წლის მწყემსი იყო, მთებში ცხვარი ყავდა წაყვანილი და 15 მაისს გაუჩინარდა დუშეთის მთებიდან. მას შემდეგ ოჯახმა მოსვენება დაკარგა. ძალიან უჭირს დედას დღემდე შვილზე საუბარი, ცრემლებს ვეღარ იკავებს. წლების შემდეგ ისევ რომ დავუკავშირდით, გაიხარა, გვთხოვა მისი ტელეფონის ნომერიც მიგვეთითებინა სტატიაში. ეს 7 წელი შვილის ძებნაში გაატარა, ბევრი ინფორმაცია თვითონ გადაამოწმა, ვინ იცის, რამდენჯერ დაურეკეს ტელეფონზე და უთხრეს, რომ მისი შვილი ნახეს, ყველა ადგილას მივიდა, თავისი ფეხით აქვს მოვლილი ის მთებიც, საიდანაც მისი შვილის კვალი ქრება, მაგრამ უშედეგოდ.

**მარიამ(ციცო) ლაზაშვილი:**

"7 წელი გავიდა ჩემი ოთარის დაკარგვიდან, ახლა 29 წლის არის, არ გამოჩენილა, გული მიკვდება, არაფერი ვიცი მასზე. ახლაც უნდა წავიდე სახლიდან ისევ მის საძებნელად, მაგრამ სად მივდივარ, ისიც არ ვიცი, მაინც უნდა მოვიარო ის ადგილები, იქნებ სადმე რამე ხელჩასაჭიდი ვიპოვო. ვეხვეწები ყველას, იქნებ დამეხმაროთ, იმედის ნაპერწკალი გამიჩინა ახლა თქვენმა ზარმა, ისევ გაავრცელეთ ჩემი შვილის ფოტოები, იქნებ ვინმემ სადმე ნახა, იქნებ ვინმემ რამე იცის. არ ვიცი რა გავაკეთო. ვინ იცის, ეს წლები რამდენჯერ ვარ მცხეთა-მთიანეთის პოლიციაში ჩასული, მაგრამ ეს არ არის გამოძიება. თაროზე დადებულია ეს საქმე . მეუბნებიან, იმდენი სახსრებია დახარჯული და ვერ ვიპოვეთო.

მაშინ, ვისაც ეჭვმიტანილად ვთვლიდით, იმ ხალხმა ყველამ დატოვა საქართველო, მოიარეს უცხოეთი, უკანაც ჩამოვიდნენ, ბევრი ციხეშიც წავიდა და გამოვიდა კიდეც, მაგრამ ამ საქმეზე არაფერი გარკვეულა. მე მაინც ჩემი გზებით ვცდილობ ძებნა გავაგრძელო.

ჩემი დანაშაული ის არის, რომ პატიოსანი, შრომისმოყვარე შვილი გავზარდე. რომ გამეზარდა ცუდი შვილი, ციხეში იქნებოდა და ცოცხალი მაინც მეყოლებოდა. 5 წელი შვილი არ მყავდა. ოთარი ჩემი ნანატრი შვილი იყო. მერე გოგონაც გამიჩნდა, ბედნიერები ვცხოვრობდით. გურჯაანში, კულტურის ცენტრში ვმუშაობ მთავარ სპეციალისტად. ძირითადად ხელოვნება იყო ჩემი ოჯახის საზრდო. გოგონა მოცეკვავეა, ოთარიც ცეკვავდა, მაგრამ მოსწონდა პატარა ასაკიდან მეცხოველეობა, სოფლის მეურნეობა... სულ შრომობდა, ძალიან ნიჭიერია, საოცარ რაღაცეებს ძერწავდა. მაგრამ მისი ოცნება იყო, რაც შეიძლება ბევრი საქონელი ჰყოლოდა. ბავშვი საჭმელს არ შეჭამდა, ტანსაცმელს არ იყიდდა, ფულს აგროვებდა და იმ ფულით ხან კვიცს ყიდულობდა, ხან - ხბოს, ხან - ცხვარს. ასე მოამრავლა საქონელი. ზაფხულში ცხვარი მთაში დაჰყავდა, მაგრამ ეს მთა, სადაც შვილი დამეკარგა, უცხო იყო მისთვის, იქ პირველად წავიდა. ნაუცბადევად მოუხდა წასვლა და შვილის დაკარგვაში საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ვიცი, ამ შეცდომას საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ. ძალიან ვთხოვე ჩემს შვილს მთაში წასულიყო და ცხვრები წაეყვანა. მას წასვლა არ უნდოდა. როგორც მითხრეს, იმ პერიოდში გურჯაანის გამგეობაში 23 კაცის ხელმოწერით შევიდა განცხადება. წერდნენ, შეიძლება ოთარის ცხვრებმა ჩვენი ნაკვეთები დააზიანოსო, ამიტომ გამგეობამ ჩემს შვილს 10 დღიანი ვადა მისცა, რომ ცხვრები გაეყვანა სოფლიდან. ეს რომ გავიგე, ვუთხარი, გაიყვანე-მეთქი. არადა, ღელეს ტერიტორიაზე აბალახებდა ცხვრებს. ის ტერიტორია თავისი ხელით მოაწყო, არავის არაფერს უფუჭებდა. თავისი ხელით აიშენა სადგომი, ბავშვი სულ შრომობდა. ღამის სამ საათზე დავადექი თავზე, დედი, გეხვეწები გაიყვანე ცხვრები, შენ არ გაქვს უფლება საზოგადოებას რამე ზიანი მიაყენო-მეთქი. ხათრი მაინც ვერ გამიტეხა და 3 მაისს სოფელ ჩუმლაყიდან წავიდა. 10 დღე გზაში იარა და ბოლოს დუშეთის მთებში, ბარისახოსთან დაბანაკდა. სოფლიდან 3 კილომეტრის დაშორებით, საბერწეს მთებს ეძახიან და იქ იყო. მასთან ერთად ორი თანასოფლელი ბიჭი იყო, უბრალოდ იცნობდნენ ერთმანეთს, მეგობრები არ ყოფილან. იქ ჩემი მეუღლეც ავიდა. 15 მაისს საღამოს უნდა წამოსულიყვნენ მამა-შვილი სოფელში, რომ ბარგი წაეღოთ. ამბობენ, რომ ოთარი საღამოს 9 საათზე მარტო წამოვიდა და მას მერე ბავშვი დაიკარგა. დარწმუნებული ვარ, იმ დღეს იქ რაღაც ინციდენტი მოხდა, რასაც დღემდე მიმალავენ. ვერ გავიგე, ცამ ჩაყლაპა ჩემი შვილი? შეიძლება ასე იკარგებოდნენ ადამიანები?

დამეხმარეთ ან ცოცხალი მაპოვნინეთ, ან მკვდარი, ან დამანახეთ ჩემი შვილის მკვლელი. ჩემი მეუღლე ამბობს, ოთარი რომ წავიდა, ცოტა ხანში ბიჭები ცხენებით გამოედევნენ, რომ დაწეოდნენო, მაგრამ ისინი ამბობენ, ვერ ვიპოვეთო. მეორე დღესვე ავტეხე განგაში, სამაშველო სამსახურში მივედი, ეძებდა 5 კაცი, ვერ იპოვეს, მერე ამინდებიც გაფუჭდა და ბავშვი ველარსად ვნახეთ.

ერთხელ მითხრეს, ზესტაფონში უნახავთო, იქაც ჩავედი ამბის გადასამოწმებლად, მაგრამ სიცრუე აღმოჩნდა, ვიღაცას მიამსგავსეს და ის ბიჭი მართლა ისე ჰგავს ჩემს ოთარს, კინაღამ გავგიჟდი. ვფიქრობ, ჩემს შვილს ან დააწერეს ცხვარი და არ დაიწერა, ან დაინახა ისეთი რამე, რაც არ უნდა დაენახა და მოიშორეს. ან მესამე ვერსიით, შემოაკვდათ, თუ სადმე ცოცხალია, აქამდე გამოჩნდებოდა.

.

***თუ ვინმემ რამე იცით, ოთარ ლაზაშვილის შესახებ, გთხოვთ დაუკავშირდეთ მის დედას ამ ნომერზე: 599509063. სოციალურ ქსელშიც ბევრი დაკარგული ახალგაზრდის ოჯახი ავრცელებს სვილევზე მსგავს ინფორმაციას და საზოგადოებას დახმარებას სთხოვს. სად ქრებიან ადამიანები ასე უკვალოდ, ამ კითხვებზე კი პასუხები არ ჩანს.***

# წმინდა სერაფიმე საროველი



წმინდა სერაფიმე საროველმა თავი ბავშვობიდანვე ღმერთს მიუძღვნა. მას როცა 19 წელი შეუსრულდა, დედას მონასტერში წასასვლელად კურთხევა სთხოვა. დედამ მონაზვნური ღვაწლისათვის ვაჟიშვილი ბრინჯაოს დიდი ჯვრით აკურთხა. ამ დედისეულ ჯვარს იგი სიკვდილამდე მკერდზე ატარებდა.

საროვის სავანეს, სადაც სერაფიმე მივიდა, ყოველი მხრიდან ულრანი ტყე ეკრა. აქ, შუაგულ ტყეში, მან თავისთვის პატარა ქოხი აიშენა და, ქვეყნისგან მოშორებული, დღედაღამ ლოცულობდა. ხშირად წმინდა სერაფიმეს სიცივის, შიმშილისა და სხვა გაჭირვების ატანა უხდებოდა. ასე გაატარა მან მრავალი წელი. როცა ბოლოს და ბოლოს თავისი სენაკის კარი გახსნა, მასთან ხალხმა იწყო მისვლა. ისინი წმინდა მამას ლოცვას სთხოვდნენ. მასთან ცვილის სანთლები მიჰქონდათ, რათა ისინი ლოცვის დროს ხატების წინ აენთო: სანთლები ხატების წინ ხომ ისევე იწვიან, როგორც ღვთის წინაშე ადამიანთა გულები. ამ პატარა სენაკში დღედაღამ ენთო სანთლები და ამიტომ ყველაზე ყინვიან, ცივ დღეებშიც კი აქ ცხელოდა და ღუმელიც არასდროს ენთო.

— არ შემიძლია ჩემს ლოცვებში რამდენჯერმე ყველას მოხსენიება, რადგან ისინი ბევრნი არიან, ამბობდა წმინდა სერაფიმე, მე მათ სანთლებს ვანთებ და ვლოცულობ: უფალო, მოიხსენე ყველა შენი მონა, რომელთა სულებისთვისაც მე უვარგისმა ეს სანთლები და კანდლები აგინთე!

წმინდა სერაფიმე ღვთის მიმართ დაუცხრომელად ლოცულობდა. ამის გამო მისი გული სიყვარულით უფრო და უფრო ენთებოდა, უყვარდა არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ყოველი მისი ქმნილება, მის მიერ შექმნილი ბუნება. ამგვარად, გამუდმებული ლოცვითა და ღვთის ხსოვნით მან თავი ცოდვისაგან განიწმინდა. მისი ცხოვრება სამოთხეში პირველ ადამიანთა ცხოვრებას დაემსგავსა, სადაც მხეცები ადამიანს ემორჩილებოდნენ და არც მას და არც ერთმანეთს არ ვნებდნენ.

ღამით წმინდანის სენაკთან მიდიოდნენ მხეცები: დათვები, მგლები, კურდღლები და მელიები, გველები, ხვლიკები და სხვა ქვეწარმავლებიც მოხოხავდნენ. წმინდა სერაფიმე სენაკიდან გამოდიოდა და მათ თავისი საპურიდან აჭმევდა, სადაც ის კვირის სამყოფ პურს ინახავდა. მრავალი მხეცი მიდიოდა მასთან, პური კი ყველას ჰყოფნიდა.

დედოფლისწყაროში, სოფელ სამრეკლოში სერაფიმე საროველის ულამაზესი ტაძარი მდებარეობს, რომელმაც დროსა და ათეიზმს გაუძლო. დღეს ის მოქმედი ტაძარია და თავისი სახელობის წმინდანის ხსენების დღეს-1 აგვისტოს განსაკუთრებულად აღნიშნავს.


# სიახლე!

**გსურთ განაახლოთ თქვენი სახლის ინტერიერი იაფად? ამაში პუფების მრავალფეროვანი ასორტიმენტი დაგეხმარებათ. დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის შენობაში გაიხსნა პუფების მაღაზია. შეგიძლიათ შეიძინოთ სხვადასხვა ფერის, ზომისა და კონსტრუქციის პუფები. ხარისხი გარანტირებულია! ფასებისა და პროდუქციის ნახვა შეგიძლიათ ვირტუალურადაც მაღაზიის ფეისბუქ გვერდზე:** puff house/ **პუფის სახლი/**




# უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

## ნათელა ბიდიაშვილს!

ქალბატონო **ნათელა**, გულწრფელი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს-5 აგვისტოს. მართალია, 80 წელს უკვე გადასცილდით, მაგრამ თქვენი შემართებით და ენთუზიაზმით, გონივრულობითა და განსწავლულობით კვლავ მაგალითი ხართ ახალგაზრდებისთვის. აქტიურად მონაწილეობთ ყველა ჩვენს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, სადაც ამჟღავნებთ მხატვრული ლიტერატურის ღრმა ცოდნას და წიგნის დიდ სიყვარულს.

ტრაგიკული შემთხვევის გამო ცალუღლად დარჩენილმა სამი საუკეთესო შვილი გაზარდეთ, სიყვარულსა და ზრუნვას არ აკლებთ შვილიშვილებს, ყველა ახლობელსა და მეგობარს. იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი!

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრები.


# ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ბინა ბელეტაჟზე ქ. დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე. ფასი:
10 000 $ მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე;
558 634 702


## აბრამ ხარაშვილს

ბატონო აბრამ, გულწრფელად გილცავთ დაბადების დღეს 2 აგვისტოს და ელიაობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

მთელი თქვენი შინაარსიანი ცხოვერება იმოღვაწეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კახეთის რეგიონის ორ წარმატებულ რაიონში, გურჯაანში და დედოფლისწყაროში. ორივეგან გიცნობენ როგორც კოლორიტულ პიროვნებას. უაღრესად თავაზიანი, კაცთა ზნის მცოდნე, ულალატო,ალალი, სულით ძლიერი. საუკეთესო მწიგნობარი, აღიარებული თამადა, რაც მთავარია ბრწყინვალე შვილების და შვილიშვილების აღმზრდელი მამა და პაპა.

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ამაყობს,რომ საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ბრძანდებით (ელდარ შენგელაია, ვაჟა აზარაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, გივი თოიძე, გოდერძი გონაშვილი და სხვა ცნობილ პიროვნებებთან ერთად ) „მეტრის" ნომინანტად და ხართ ჩვენი ასოციაციის ერთ-ერთი ამაგდარი უპოპულარულესი წევრი.

**საუკეთესო სურვილებით და ულრმესი პატივისცემით:**

ლალი ბოჭორიშვილი,ჯიმი,გია,ლია ალულიშვილები,ნანა ჭიჭინაძე, ნაირა გორაშვილი,მარიკა,ზურიკო,მაგდა პოპიაშვილები, ვანო და გენადი შიოლაშვილები ოჯახით.

# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 03.08 | | სამშაბათი 04.08 | | ოთხშაბათი 05.08 | | ხუთშაბათი 06.08 | | პარასკევი 07.08 | | შაბათი 08.08 | | კვირა 09.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 27° | 19 ° | 27° | 19 ° | 28 ° | 20 ° | 30 ° | 22 ° | 30 ° | 22 ° | 30 ° | 23 ° | 30 ° | 21 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.